

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განმანათლებლის უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი

2007 წ. აპრილი * №13 * ფასი 70 თეთრი



შეგარდნაძე საქართველოდან გაიპარა **გვ. 4**

ვისი ზეგავლენით თქვა უარი კათოლიკოს-პატრიარქმა სამეხის საკათედრო ტაძრის ეზოში პრეზიდენტ გამსახურდიას დაკრძალვაზე **გვ. 12**



მა საშენელი დასაშუდიას ფაქტაენების ეშინათ
მანანა ანჩუფაძეს და შესანიან ფუფუქილს?
ლეილა ცომაია

28 მარტს, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც დევნილი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს. მანამდე კი, პირველადი დაკრძალვის ადგილზე იქვერის რუსული ხელისუფლების მიერ „აღმოჩენილი“ ქართველი პრეზიდენტის ნეშტი, ექსპერტიზისათვის, როსტოვში გადაასვენეს. გადასვენება ვიზირებუ-ლი იყო რუსეთის ხელისუფლების, გარდაცვლილი პრეზიდენტის ქვრივისა და მისი უფროსი ვაჟის ცოტნე გამსახურდიას სურვილითა და თანხმობით. როსტოვში, რუსეთის მხარის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზაში არ

გავრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 კვ. იქნა ჩართული, არც საერთაშორისო ექსპერტები და არც-თუ ქართველი სპეციალისტები. დღემდე, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ერისათვის უცნობია რუსი ექსპერტების დასკვნა: რუსეთის მთავრობა თავს ვალდებულად არ თვლის საქართველოს მთავრობას ოფიციალურად გადმოუგზავნოს ჩატარებული ექსპერტიზის დოკუმენტი, არამედ, მისი დამოუკიდებლად მოპოვებისათვის, ჩეჩნეთის ხელისუფლები-საკენ უთითებს.

თავხედობა და ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა!

ფაქტია, რომ პრეზიდენტის გადმოსვენების ტრაგიკული ისტორიული მოვლენის დროსაც ინერციით გაგრძელდა 1991-93 წლებში დაწყებული შეთქმულება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. შეთქმულების მასიური ჯაჭვი არ განწყვეტილა ამ წლების შიგნით არსებულ პერიოდშიც. ამჯერად, შეთქმულების ბირთვად, პერსონალურად გამოყენებულ იქნენ გარდაცვლილი პრეზიდენტის ოჯახის წევრები ქალბატონ მანანასა და თავისი უფროსი შვილის ცოტნე გამსახურდიას სახით. ამ ანგარიშგასანევი ფართო რუსეთის მთავრობა შეეცადა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ქართველი საზოგადოების დამუნათებას.

ამგვარად, მოხდა რა ჩვენი სრული განიარაღება და იგნორირება, ჩვენ აბსოლუტურად უძლური აღმოვჩნდით, რაიმე სახით მაინც აღვდგომოდით წინ ამ დანაშაულებრივ პრეცედენტს. დაკრძალვისა და გლოვის განსაკუთრებულ პროცესებს ბუნებრივად შეერწყა ტრადიციული ქართული მენტალობა, რამაც, აგრეთვე რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ იმუშავა. ამ პროცესებიდან, ქალბატონ მანანას მეშვეობით, ისტერიულ-კატეგორიულად გამოირიცხა და ლამის კინალამ სრულიად გამოირიყა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უფროსი შვილი კოკო გამსახურდია.

არავისთვის საკამათო არ უნდა იყოს, რომ რუსეთი, რომელსაც დღემდე არ უთქვამს უარი თავის იმპერიალისტურ ზრახვებზე, არც დღეს იქნებოდა მოსურნე, სათანადო ღირსებითა და პატივით გადმოესვენებინათ და დაეკრძალათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის რანგში დაკრძალვა კატეგორიულად არ სურდა, არც მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც თავისი პოლიტიკური დეკლარაციებიდან უაპელაციოდ ამოაგდო დამოუკიდებელი საქართველოს 1990-93 წწ. ბრწყინვალე და სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი პერიოდი.

ასეთი რეაქციების ფონზე ძნელი წარმოსადგენია, რაიმე პოლიტიკური დივიდენდები მოუტანოს სააკაშვილს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების აქტივმა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი „პატრიოტულ-კეთილშობილური“ აქტი, პოლიტიკურ დივიდენდებზეცაა გათვლილი. თუ მოვლენას დიდი პოლიტიკის რაკუსით შევხედავთ – ზვიად გამსახურდიას საფლავის არსებობა იჩქერიის მიწაზე შეიხ მანსურსა და ჯოჰარ დუდაევიან ერთად აცოცხლებდა და უკვდავს ჰყოფდა კავკასიის გაერთიანების უმძლავრეს იდეას, რაც მოსვენებას უქარ-

გავდა რუსეთს და აი, პუტინის რუსეთმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გადასვენების გადაწყვეტილება მიიღო.

მაშინ, როცა დამოუკიდებელი იჩქერიის ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები (ახმედ ზაკაევი და სხვ.) საგულდაგულოდ (კვალისაბნევით) ასაიდუმლოებდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის „ახალ“ ადგილს, (რაც ნასულდგმულევი იყო კავკასიის ერთიანობის უკვდავი იდეით), რუსეთის მიერ დანიშნული „ჩეჩნეთის პრეზიდენტის“ რაზმან კადიროვის მიერ, ფორსირებულ რეჟიმში აღმოჩენილ იქნა ზვიად გამსახურდიას საფლავი. ნეშტის იდენტიფი-



კაციის მიზნით, მოსკოვიდან ჩაიყვანეს ბატონი ზვიადის შუათანა ვაჟი ცოტნე გამსახურდია, რომელიც ბოლო ერთი წელია, რაც საცხოვრებლად დაბრუნდა მოსკოვში (ცნობისათვის: ცოტნეს და სოფიკო ჩიკვილაძეს, 15 მარტს თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში გოგონა – თამარ გამსახურდია შეეძინათ). ცოტნემ, ოკუპირებული ჩეჩნეთიდან მადლობა გადაუხადა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საფლავის აღმოჩენისათვის და ერთი სამადლობელი სიტყვაც არ უთქვამს ჩეჩენი ხალხისთვის, რომლებიც, წლების განმავლობაში შეძლებისდაგვარად უვლიდნენ და ინახავდნენ საფლავს. ცოტნემ სამადლობელი სიტყვები პრეზიდენტ პუტინის მიმართ, არც ლარსთან დაიშურა და სრული ნდობა გამოუცხადა რუსების მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას. კიდევ ერთხელ თქვა უარი ექსპერტიზის საქართველოში ჩატარებაზე საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, რამაც ქართველი ერის თვალში კიდევ უფრო გაზარდა არსებული კითხვების მოცულობა.

რენომობილს, რომელშიც ესვენა პრეზიდენტის ნეშტი, უკვე ლარსიდან პირადად მართავდა გიორგი გამსახურდია, გვერდით კი ეჯდა ცოტნე.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან არ ცხადდებოდა ზუს-

ტი დრო პრეზიდენტის ნეშტის გადმოსვენების შესახებ, დაქირავებული სამარშრუტო ტაქსებითა და მსუბუქი ავტომანქანებით, ლარსისაკენ მაინც უამრავი ადამიანი დაიძრა, მიუხედავად მარტის ჭირვეული ამინდისა და გამჭოლი სიცივისა, ლარსთან მაინც უამრავმა ქართველმა მოიყარა თავი. ყაზბეგიდან თბილისის გზებზეც, მოსახლეობა სანთლებით ხელში ღამით მრავალი საათი ელოდა თავის პრეზიდენტს. მიუხედავად, ხალხის ამგვარი მონამებრივი დგომადინისა, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების პირთაგან დაინსტრუქტაჟებულიმა ცოტნე და გიორგიმ ხალხს არ მისცა საშუალება თვალი მაინც შეეველოთ პრეზიდენტის კუბოსთვის, არამედ მაქსიმალური სიჩქარით გამოაქროლეს ნეშტი თბილისისაკენ, რითაც სრული უპატივცემულობა გამოხატეს გულწრფელი და პატრიოტი ხალხის მიმართ. მათ ფაქტიურად გამოიტაცეს ნეშტი ხალხისაგან და ჩასული ხალხის მანქანებსაც კი იმდენად გაუსწრეს, რომ ისინი ველარსად დაენივნენ მათ.

ჩვენთვის დღემდე აუხსნელი დარჩა, თუ რა განსაკუთრებული სამსახურის განწევისათვის გადაუხადა მადლობა ცოტნემ რუსეთის პრეზიდენტსა და მის ხელისუფლებას, როცა ჩვენი პრეზიდენტის ნეშტი არ იქნა გადმოსვენებული თვითმფრინავით და არც-თუ უმოკლესი გზით როსტოვიდან, არამედ – ლარსით და ისიც უბრალო რენომობილით.

ყველასაგან მოულოდნელად მანანა არჩვადემ და თავისმა ვაჟებმა, ნეშტის დედაქალაქის პროზექტურაში ექსპერტიზისთვის მისვენების ნაცვლად, კოლხურ კოშკში შესვენების გადაწყვეტილება მიიღეს, რითაც საცნაური გახდა ლარსიდან ნეშტის გამოტაცების მიზანი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტნე და გიორგი დღეს უკვე სერიოზული, ოცდაათწლამდე ასაკის ახალგაზრდები არიან, ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო შორს მაინც ვერ წავალთ მათი საქციელის შეფასებაში. გვინდა ვიფიქროთ, ისინი, უბრალოდ, განჯგონებულნი (ვისაც ბოროტი კეთილი ჰქონია – საბა) არიან. ცოტნეს მადლობებმა რუსეთის ხელისუფლების მიმართ და მისმა პოლიტიკურმა განცხადებამაც, რომ „ვიმედოვნებ, ამ გადმოსვენების შემდგომ ჩამოყალიბდება ნორმალური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის“, ჩვენში, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

უცნაურია, რომ ამგვარ ისტორიულ მომენტებში ასპარეზიდან სრულიად გაქრა და სადღაც დაიკარგა საქართველოს ხელისუფლება. არსად ჩანდა მისი, როგორც ხელისუფლების ოფიციალური და მტკიცე ნება, არამედ იგი საეჭვოდ თვინიერი და უძლური გახდა პრეზიდენტის ქვრივის ტრივიალური ნების წინაშე. და ეს იმ ფონზე, როცა თითქოს შექმნილი იყო პრეზიდენტის გადმოსვენების სამთავრობო კომისია ხელისუფლების მეორე უმაღლესი პირის – პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ხელმძღვანელობით. გაუგებარი დარჩა თბილისის მერიის ფუნქციაც, როცა არსებობდა შანსი ამგვარი ისტორიული მნიშვნელობის საკითხი ხელისუფლების ღირსების საქმედ ქცეულიყო. მაგრამ არა, ამის ნაცვლად გათამაშდა ფარსი სააკაშვილის, მანანა არჩვადისა და

რუსეთის ხელისუფალთა მხიდან, ინტერესების თანხედენით – არ სურდათ რა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ობიექტური და კვალიფიციური გამოძიება და არც-თუ მისი პრეზიდენტის პატივით დაკრძალვა.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის გადმოსვენების მოვლენა იმდენად დაკნინებულ-გაუბრალოებულ იქნა, რომ ნემტს, ლარსთან, დახვდა არა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ნოლაიდელი და არც-თუ დედაქალაქის მერი, არამედ, ქალაქის კეთილმონყობის სამსახურის (?) უფროსი ვინმე სუბელიანი, რასაც თითოეულ ღირსეულ ქართველშიარ შეიძლება პროტესტის გრძნობა არ გამოეწვიოს.

ჯერ კიდევ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციამდე საზოგადოებაში არსებობდა ეჭვი და უნდობლობა პრეზიდენტის გარემოცვისა და მისი მეუღლის მანანა არჩვაძის მიმართ. ამგვარი დამოკიდებულება სულ უფრო გააღრმავა პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილისა და მანანა არჩვაძის უკანასკნელი წლების საჯარო (ელექტრონული და ბეჭდვითი მედიით) გამოსვლებმა.

მანანა არჩვაძისა და თავისი შვილების არაადექვატური მიმართებები, ერთის მხრივ რუსეთისა და საქართველოს (შევარდნაძის) ხელისუფლების, ხოლო მეორეს მხრივ, რეპრესირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ ერთნაირად შოკისმომგვრელი იყო. შოკისმომგვრელი იყო, აგრეთვე, მანანა არჩვაძის მხრიდან, პრეზიდენტის საიდუმლო ვითარებაში დაღუპვის თანადროულად:


1. პრეზიდენტის ცხედრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე კატეგორიული და იმპერატიული უარი.
2. პრეზიდენტის არქივის (მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის) „დაკარგვა-გატაცების“ უპასუხისმგებლო განცხადება.
3. ჩეჩნეთიდან იმპერიალისტური რუსეთის დედაქალაქ მოსკოვისათვის თავის შეფარება.
4. მოსკოვიდან, მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ, შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრად მოვლინება, მისი დაშლა-დანაწევრება და ტერორი.
5. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას სახელისუფლო ბლოკის „მრგვალი მაგიდის“ სრული უზურპაცია, პრეზიდენტის დაშლა და უზენაესი საბჭოს დეპუტატების დევნადისკრედიტაცია.
6. ფარული კავშირები შევარდნაძის ხელისუფლებასთან.

პირველად 2005 წელს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე და ამჯერად ტელეკომპანია „იმედით“ ბესარიონ გუგუშვილმა გაამჟღავნა მანანა არჩვაძისა და მას შორის დადებული ე.წ. შეთანხმება-გარიგების აქტის არსებობა. ამ იდუმალებით მოცული აქტის ნაკითხვა აღგვიძრავს ფიქრს გუგუშვილ-არჩვაძის შესაძლო შეთქმულების შესახებ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. გვერნმუნეთ, ჩვენ ნამდვილად არ გვეადვილება, არამედ უადრესად გვიძიძის ამ სტრიქონების წერა.

მოდით, კიდევ ერთხელ წავიკითხოთ ეს შავ-ბნელი დოკუმენტი:

„ერთი მხრივ, ჩვენს – ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებსა და მეორე მხრივ, ზვიად გამსახურდიას ოჯახს შორის, მისი ქვრივის მანანა არჩვაძის სახით, საერთაშორისო შუამავალთა მონაწილეობით და მოწმეობით მოხდა ქვემოთ შეთანხმება და გარიგება ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობით სიკვდილის შესახებ.

„ზვიად გამსახურდიას ოჯახი, მისი ქვრივის სახით, არასოდეს არ წამოაყენებს რაიმე სხვა ვერსიას ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შესახებ, **გარდა თვითმკვლელობისა** (ხაზგასმა ჩვენია – ლ.ც.). ხოლო



ჩვენ, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეები არ მოვითხოვთ ცხედრის მიმართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას, **არც ჩეჩნეთში და არც საქართველოში** (აქაც ხაზგასმა ჩვენია – ლ.ც.) და არ მივიღებთ მონაწილეობას ამასთან დაკავშირებულ არავითარ გამოძიებაში; პრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნა: ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმეები **კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებაზე** (აქაც ხაზგასმა ჩვენია – ლ.ც.).

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გაკვეთონ, გამოიკვლიონ, ანდა განახორციელონ, რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა. (გაზ. „ასავალ-დასავალი“, №48 (587) გვ. 17. 2005 წლის 28 ნოემბერი – 4 დეკემბერი).

ეს დოკუმენტი არაორაზროვნად გასაგებს ხდის მანანა არჩვაძის საქციელს; მან **მტკიცედ** დაიცვა ხელშეკრულებით (რომელსაც ჰყავს სერიოზული მოწმეები, შუამავალ-გარანტიორები და ზედამხედველები). სასურველია ამ მასალებს სრულად გაეცნოს დაინტერესებული პირი გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მითითებულ ნომერში დადებული პირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბესარი-

ონ გუგუშვილი, რომელიც ფინეთიდან ადვენება თვალ-ყურს პრეზიდენტის გადმოსვენების პროცესებს, მას ამავე დოკუმენტის ძალით სასამართლოში უჩივლებდა, რაზეც პირდაპირ და იმპერატიულად მიანიშნებს იგი: „ეს საერთაშორისო დონეზე მიღებული და დაფიქსირებული ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე, თუ სასამართლო არსებობს, ან იარსებებს, უნდა დაისაჯოს. (გვ. 18-ის ბოლო სვეტის ბოლო ნაწილი). შემომოყვანილი „ხელშეკრულების“ დადების ინიციატორი თავად ბესარიონ გუგუშვილი გახლავთ და იგი დაბეჯითებით აცხადებს: „სწორედ ამ ხელშეკრულების არსებობის გამო და მის შესაბამისად, ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა და მით უმეტეს, ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ ვერავითარი გამოძიება და გამოკვლევა ვერა და არ ჩატარდება! შეუძლებელია!“ ასე დაიგულა ქუდში საკუთარი ცოდვილი თავი ბესარიონ გუგუშვილმა, რომელიც, აგრეთვე ამბობს, რომ „ტყვიაც ბევრი ეძებს, მაგრამ ვერ იპოვეს (გილზა კი იპოვეს)... მე მაინც სუბიექტურად მგონია, რომ ტყვია გარეთ არ გამოსულა და იგი თავის ქალაში ჩარჩა“.

საინტერესოა, რატომ არ ანამებს თუნდაც ეს აზრი ბატონ გუგუშვილს და თუნდაც ტყვიის თავის ქალაში პოვნის მიზნით რატომ არ მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას?

ჩვენ, დღეს მაინც ღირსეული და სამართლებრივი ხელისუფლება, რომ გვყავდეს, გუგუშვილის ამ ვრცელი წერილის საფუძველზეც დაინტერესდებოდა პროკურატურა და მრავალი კითხვები აღედგებოდა მის მიმართ.

პრეზიდენტის ქვრივის მანანა არჩვაძისა და ბესარიონ გუგუშვილის ყველა საჯარო გამოსვლაში აშკარად კრთება თანამდევნი ფარული შიში, რაც მათ აიძულებს კატეგორიული უარი თქვან ექსპერტიზასა და გამოძიების ჩატარებაზე.

ჩვენს მიერ უკვე გამოყენებულ წერილში (გაზეთ „ასავალ-დასავალში“) ბატონი გუგუშვილი წერს: „ყველა თანმხლები თანდასწრებით ზვიადის წარმოთქმული ასეთი სიტყვებიც კარგად მახსოვს: „არსებობს ისეთი საწამლავეებიც, რომლებიც რამდენიმე თვის შემდეგ იწყებენ მოქმედებას“. თუ ეს სიტყვები ნამდვილად პრეზიდენტმა თქვა, მაშინ ჩნდება კითხვა, რაზე და ვისზე მიანიშნა მონამვლის ტკივილებით განამებულმა პრეზიდენტმა? რამდენი თვის წინ მონამვლეს იგი და სად? გროზნოში თუ საქართველოში ჩამოსული?


დღეს პრეზიდენტის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ახლა, 14 წლის შემდეგ ჩატარებული ექსპერტიზა ბევრს ვერაფერს გვეტყვის, იქნებ ასეც არის და იქნებ ამიტომაც დახანდა ნემტის გადმოსვენებაც, მაგრამ ჩვენ, ქართველ საზოგადოებას გვაინტერესებს პროფესიონალ საერთაშორისო ექსპერტთა კომპენტენტური აზრი და პასუხი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მანანა არჩვაძეს, რომელმაც, ფრიად საეჭვო მიზეზებით კატეგორიული უარი თქვა პირველ და უკანასკნელ ექსპერტიზაზეც.

შევარდნაძე საქართველოდან გაიპარა

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნეშტის იჩქერიდან საქართველოში გადმოსვენებამდე რამდენიმე დღით ადრე, უზურპატორი შევარდნაძე საქართველოდან გაიპარა; იგი, გერმანიაში, თავისი კოლეგისა და მეგობრის, გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით 25 მარტს გაემგზავრა და უკან 28 მარტს უნდა დაბრუნებულიყო.

შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც შევარდნაძის გერმანიაში გამგზავრება უზრუნველყო, ამასთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ახმაურებდა.



მოვლენის ამგვარი გასაიდუმლოების თუნდაც ეს ფაქტიც, აშკარად მეტყველებს სააკაშვილის მზრუნველ დამოკიდებულებაზე თავისი პოლიტიკური მამისა თუ კუმირის მიმართ, რომელიც მან ასე საიდუმლოდ გაარიდა 31 მარტისა და 1 აპრილის მოსალოდნელ ექსცესებს.

ნიშანდობლივია, რომ ედუარდ შევარდნაძე, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის შემდგომაც აგრძელებს ყოფნას გერმანიაში. ალბათ, იმის ლოდინში, როდის განელდება, ზვიად გამსახურდიას ჩამოსვენებით განახლებული დიდი მწუხარება და პროტესტი მის წინააღმდეგ.

ბრისთვის ამზადებენ ირაკლი კაკაბაძესა და მის ახალშერთულ მყოფს ანა დოლიძეს ამერიკაში?



ირაკლი კაკაბაძე და მისი ახალშერთული მეუღლე ანა დოლიძე, როგორც წარსულში, დღესაც აქტიურად თანამშრომლობენ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებთან, როგორც საქართველოს არასამთავრობო უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები (ერთი - ე.წ. თანასწორობის ინსტიტუტისა და მეორე - „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი).

ირაკლი კაკაბაძე, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, ამერიკიდან, თითქოს ზვიად გამსახურდიას უჭერდა მხარს - 1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების პერიოდში, იმავე აშშ-დან პუტჩისტებს ემხრობოდა და

თავის აღფრთოვანებას ედუარდ შევარდნაძისადმი ამგვარი სიტყვებით გამოხატავდა: „ბატონი ედუარდ შევარდნაძე, პოლიტიკაში, ნამდვილი გროსმაისტერია“ (იხ. გაზეთი „7 დღე“, 18-24 ივნისი, 1992).

ჩვენ ხელთ არის აშშ-ს კალიფორნიის უნივერსიტეტის (ირვინი) პროექტი და კონფერენციის მასალები. ირაკლი კაკაბაძის მოხსენებიდან ცალკეული გამონათქვამები: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ასპექტები“ - „რუსეთის როლი: რეალობები და მითები“. №12 28-29. VI. 2005 წ. მოსკოვი

ირაკლი კაკაბაძე:
„რუსეთი, საბჭოთა კავშირი თავის დროზე ეხმარებოდნენ გამსახურდიას“ გვ: 46.

„მე, როგორც ქართველს არაფერი უნდა მქონდეს საწინააღმდეგო აფხაზეთის თვითგამორკვევის. ჩემი პოლიტიკური ფილოსოფია ეფუძნება არა რეალ-პოლიტიკას, არამედ იდეალ-პოლიტიკას“. გვ: 94.

„ქართული, რუსული, ამერიკული იმპერიალიზმი - ერთი და იგივეა. მე ამ ყველა იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე ვარ“. (ხაზგასმა ჩვენია - რედ.).

„მე ვფიქრობ, რომ ბატონმა გუმბამ ძალიან სწორად თქვა, რომ აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობა - ეს, ნამდვილად დამსახურებულია და აფხაზი ხალხი იმსახურებს დამოუკიდებლობას“. გვ. 94-95.

„მე ვფიქრობ, რომ ერთადერთი სწორი გზა საქართველოსა და აფხაზეთისათვის არის სცადონ შევიდ-

ნენ ევროპის კავშირში, როგორც ერთეულები. და მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხში ჩვენ მათთან უთანხმოება არ უნდა გვექონდეს“. გვ. 95.

დღეს, როცა წყდება საკითხი დაკარგავს თუ არა მართლმადიდებელი სერბი ერი თავისი ისტორიის ფუძეს - კოსოვოსა და მეტოხიას - სულ უფრო და უფრო დაჟინებით გვესმის მარტი ახტისაარის (ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი) მხრიდან, რომ სერბეთი და კოსოვოც, პერსპექტივაში, ცალკე ერთეულებად შეიძლება აღმოჩნდნენ ევროპის კავშირშიც. ამასვე ამბობს რიჩარდ ჰოლბრუკიც, ცნობილი ამერიკელი მანიპულატორი, ავტორი დეიტონის შეთანხმებისა, რითაც ბოსნია-ჰერცეგოვინაში შეიქმნა სერბთა, ხორვატთა, მუსულმან სლავთა რეზერვაციები.

ვფიქრობთ, ირაკლი კაკაბაძის კოსმოპოლიტურ-გლობალისტური კრიახი სხვა არაფერია, თუ არა მზადება საქართველოს დანანევრებისათვის.

შეტყობის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№12) მე-15 გვერდზე დაბეჭდილ სტატიაში - „ვანო მერაბიშვილი მოძრაობა „თავისუფლების“ წევრებზე „ნადირობს“ - პირველ აბზაცში მიქავას ნაცვლად უნდა იყოს მიქაია, ხოლო მეორე აბზაცში მოძრაობა „სამართლიანობის“ ნაცვლად უნდა იყოს მოძრაობა „თავისუფლების“.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოზე დაკისრებული ვალდებულება 1944 წელს გასახლებულ პირთა რეპატრიაციისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზისის მომზადების შესახებ დამოკლეს მახვილით ჰკიდა ჩვენი ქვეყნის თავს. საქართველოს პარლამენტი უახლოეს დროში გეგმავს შესაბამისი კანონ-პროექტის განხილვასა და მიღებას. მოგეხსენებათ, საკითხი მრავალნაზნაგოვანი და რთულია.

ცნობილი ფაქტია, რომ ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს ინიციატივით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1944 წელს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში გასახლა ათეულ ათასობით ადამიანი.

1944 წელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ, აჭარის ასსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ-ს ნახიჭევანის ასსრ-დან უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სსრ-ში გასახლებულ იქნენ მაჰმადიანური აღმსარებლობის პირები – თურქები, ქურთები, თარაქამები და ხემშილები (მაჰმადიანი სომხები). საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მონაცემებით სულ სამხრეთ კავკასიიდან გასახლდა 94955 ადამიანი,

მათგან საქართველოდან გასახლდა 68 447 ადამიანი, მათი ეთნიკური თვითიდენტიფიცირების მიხედვით 59 780 თურქი, 8667 ქურთი და 1408 თარაქამა (თურქთა ოჯახებში ჩასიძებული პირები) და ხემშილები (მაჰმადიანი სომხები), სხვა 26508 პირი გასახლებულ იქნა სომხეთის სსრ-დან და აზერბაიჯანის სსრ-ს ნახიჭევანის ასსრ-დან. ამ ციფრების კიდევ ერთხელ წარმოჩენა, აუცილებელია, რადგან დღეს მათ აერთიანებთ ცნობილი საბჭოთა ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის მიერ 1989 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე „წოდებული“ სახელი ე.წ. „თურქი-მესხები“. ფაქტია, რომ მათი ნახევარი არანაირ კავშირში არაა საქართველოსთან, მათ გასახლებულ მშობლებს ან სხვა წინაპრებს მესხეთში არც კი არ უცხოვრიათ, რაც შეეხება ეთნიკურ ქურთებს ისინი არანაირი თურქები არ არიან, მათ აქვთ ოთხი სახელმწიფოს თურქეთის, ირანის, ერაყის და სირიის მიერ გაყოფილი სამშობლო – ქურთისტანი და მათი თურქად მოხსენიება უსამართლობა და უკანონობაა. თარაქამები ეს აბსოლიტურად გარედან მოსული პირები არიან, რომელნიც ზედსიძებდად შედიოდნენ ადგილობრივ მაჰმადიანთა ოჯახებში. ხემშილები კი მაჰმადიანი სომხები არიან, ისინი ცეცხლითა და მახვილით მოსწყვიტეს საკუთარ ეთნოსსა და რწმენას, მათაც ასევე უსამართლო და უკანონოდ თურქებად მოიხსენიებენ. სახიფათო ისაა, რომ სამხრეთ კავკასიიდან გასახლებული პირები ერთმთლიან მასივად არიან გაერთიანებული. გერმანულმა „ფოლქსვაგენის“ ფონდმა 2004 წელს დააფინანსა ამ გასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა აღრიცხვა. ეროვნული უმცირესობების ევროპული ცენტრის მონაცემებით მათმა საერთო რაოდენობამ 268 ათასიდან 308 ათასამდე შეადგინა. რაც არ უნდა აბსურდული და უკანონო იყოს მათ ან ე.წ. „თურქ-მესხებს“ ან კიდევ უფრო უარესი – „მაჰმადიან მესხებს“ უწოდებენ. ამ პირთა ყველაზე გავლენიან ორგანიზაციას მესხეთელი თურქების საერთაშორისო საზოგადოება ეწოდება და მას ხელმძღვანელობენ პირები, რომელნიც არ ფარავენ რომ სტრატეგიული მიზანია „ახისკას“ (ახალციხის) საფაშოს ჩრდილოეთ ნაწილში კომპაქტურად

დასახლება, თურქული ენით, განათლების სისტემითა და კულტურული ინსტიტუტებით.

მიხეილ სააკაშვილის, ვანო ხუხუნაიშვილის, ირინა სარიშვილის, ლანა ლოლობერიძისა და კახა ჩიტაიას მიერ ედუარდ შევარდნაძის მორიგი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი დავალების „პირნათლად“ შესრულება, დღეს, საქართველოს, ახალი კონფლიქტის კერით ემუქრება.

მესხეთი დიდი საფრთხის ქვეშ დგას! მსოფლიო უკვე მრავალი ათეული წელია ვერ აგვარებს თურქულ-ბერძნულ, თურქულ-სომხურ, აზერბაიჯანულ-სომხურ პრობლემას. ცნობილია, რომ კვიპროსშიც და ყარაბაღშიც მეზობელ სახელმწიფოთა ჩარევა განხორციელდა თვისტომთა, მეზობელი ქვეყნების ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საბაბით.

XX საუკუნის ისტორია არა ერთ ფაქტს იცნობს ამ მიმართებით. 1974 წელს თურქეთის რესპუბლიკამ კვიპროსის რესპუბლიკაში (ორივე მათგანი ევროპის საბჭოს წევრი) განახორციელა სამხედრო ინტერვენცია. საბაბი იყო კვიპროსელი თურქების უფლებების დაცვა. 1988 წელს დანყებულ ყარაბაღის მოვლენებიც მალე სომხეთის უშუალო მონაწილეობით

პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა. ახალგაზრდა სახელმწიფოს დაუპირისპირდნენ სეპარატისტული ძალები. 1918-1919 წლებში მესხეთში სეპარატისტულმა ელემენტებმა შექმნეს ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსულმანთა ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა სერვერ-ბეგ ჯაყელის (გადაგვარებულ-გადაჯიშებული ელემენტი) მეთაურობით. ამ სეპარატისტულმა ორგანიზებმა მესხეთის ქართველი და სხვა ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მხეცური ტერორი გააჩაღეს და იწყეს რეგიონში რელიგიურ-ეთნიკური წმენდის განხორციელება. რომ არა გენერლები კვინიტაძე, ართმელიძე და გედევანიშვილი მესხეთი სრულიად გაიწმინდებოდა ქართული და ზოგადად ქრისტიანი მოსახლეობისგან. აღსანიშნავია რომ მესხეთიდან გაქცეული სერვერ-ბეგ ჯაყელი და მისი ამფსონები, არც ემიგრაციაში ივიწყებდნენ საქართველოსადმი მტრობას.

2006 წლის აპრილში თბილისში გამართულ კონფერენციაზე პირადად ვცადე გამერკვია გასახლებულ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან მათი საზოგადოებრივი პოზიციისა და შეფასების გაგება აღნიშნულ მოვლენებზე. ამ ჩემს მცდელობას აბსოლუტური

ქართველთა საფრთხე მესხეთში

აგრესიით შესვდა იმჟამად სახელმწიფო მინისტრი გ. ხაინდრავა. მან ბოროტად გამოიყენა

წარმართა. აქაც საბაბი იყო ყარაბაღელი სომხების უფლებების დაცვა. ტოტალური რეპატრაციის „ფანებს“ ვურჩევდი რუკას დახედონ და დაფიქრდნენ, მაშინ როცა 1915 წლის ტრაგიკული მოვლენების გამო ასე დაძაბულია თურქულ-სომხური ურთიერთობები, როცა თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სულ უფრო იზრდება სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, როცა სომხეთსა და რუსეთს შორის დადებულია ურთიერთდახმარებისა და ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულება, კონფლიქტი კომპაქტურად მცხოვრებ თურქულ და სომხურ უმცირესობებს შორის კატასტროფულ ვითარებაში ჩააყენებს საქართველოს. მესხეთში შეიარაღებული კონფლიქტი მეზობელთა სამხედრო ინტერვენციას გამოიწვევს. საქართველოს იგივე შეიძლება დაემართოს, რაც 1938-39 წლებში მოუვიდა ჩეხოსლოვაკიას, როცა მისმა მეზობლებმა გერმანიამ, პოლონეთმა და უნგრეთმა საკუთარი თვისტომების დაცვის საბაბით ურთიერთშორის გაიწმინდეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა. ეს საფრთხე რეალურია და ვინც მასზე თვალს ხუჭავს ან უგუნურია და ან პირდაპირი მოლაღატი. კომფლიქტების მოგვარების საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრის გ. ხაინდრავას აპარატში მომზადდა კანონ-პროექტი რეპატრიაციის შესახებ.

აღნიშნული კანონ-პროექტი შეიქმნა მხოლოდ ე.წ. ტოტალური რეპატრიაციის ფანების მიერ. ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური პლატფორმის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან ფარულად. ამჟამად აღნიშნულ საკითხს უკვე კურირებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გ. ხევიანიშვილი. ჩვენი მხრიდან გვსურს განვაცხადოთ, რომ ვერცერთი გადაწყვეტილება ვერ განხორციელდება თუ მასზე არ იქნა საქართველოს მოქალაქეთა თანხმობა. დემოკრატიის ელემენტარული ნორმაა, რომ ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი პლებისციტის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

მესხეთის ქართული და საერთოდ ქრისტიანული მოსახლეობა უაღრესად შეშფოთებულია მოსალოდნელი რეპატრიაციით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს ურთულეს სამხედრო-

თავის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა და მისთვის ჩვეული ბიუროკრატიული ვოლუნტარიზმის მეთოდით აღარ მომცა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღების საშუალება.

ჩვენი თვალსაზრისით ეს იყო რელიგიურ-ეთნიკური წმენდა. უნდა მოხდეს დამნაშავეთა სამართლებრივი პასუხისგება, დაზარალებულთა მორალურ-მატერიალური კომპენსირება და დაღუპულთა მიმართ ღირსეული პატივის მიგება.

რაც შეეხება უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებს ისინი, ისევე როგორც გასახლებულ პირთა ორგანიზაციების აბსოლიტური უმრავლესობა დუმილით უვლიან გვერდს 1918-1919 წლების ტრაგიკულ მოვლენებს. გასაგებია, რატომაც – „უმწიფო მსხვერპლის“ ტოგაში თავს კომფორტულად გრძობენ და არ სურთ 1918-1919 წლებში ჩადენილი არაადამიანური სისასტიკისა და სიმხეცის მზის სინათლეზე გამოტანა.

თუ კი ევროპის საბჭომ თავის რიგებში განვირინებინათ დანიას, პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, რუსეთს არ დააკისრა ვალდებულებად 1944-1945 წლებში გასახლებული გერმანელებისა და უნგრელების რეპატრაცია და მით უფრო სომხეთს არ დააკისრა 2001 წელს ევროპის საბჭოში მიღებისას, 1944 წელს გასახლებული მაჰმადიანი პირების რეპატრიაციას, მიგვაჩნია რომ ამგვარი ვალდებულება, არც საქართველოს უნდა ეკისრებოდეს. ჩვენი აზრით, როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოებრიობის ამოცანაა 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებულთა ამ რამდენიმე ასეულ ათასიანი მასივიდან მოიძებნოს ჩვენი თვისტომი და მოხდეს მათი ეტაპობრივი დაბრუნება მათ მშობლიურ მიწაზე. ხოლო მათ ვინც თავს თურქად მიიჩნევს, და მათი სამკვიდრო იყო დღეს აგრე რიგად წარმატებული თურქეთის რესპუბლიკა. თუ ვინმემ უნდა აგოს ამ ადამიანთა მიერ 1944 წელს განცდილ დრამატულ მოვლენებზე მატერიალურ-მორალური პასუხი, სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციამ.

ჩვენი ამოცანაა – გავუფრთხილდეთ საქართველოს, დავიცვათ იგი.

დავით არაბიძე

მცირე რამ საქართველოს ინტელექტუალურ და ბუნებრივ რესურსებზე

მე, 85 წლის პენსიონერს, ელენე აბაშიძეს მთხოვენი ზოგადად ჩამოვყალიბო ჩემი მოსაზრება საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე. ჩემი 51 წლის სამეცნიერო მოღვაწეობიდან გამომდინარე (ვარ გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი), წყალ-საცავებიდან ფილტრაციის საკითხებზე მომუშავე ჰიდროგეოლოგისათვის, ძნელია მეცნიერული სინდისის წინააღმდეგ წავიდე, დავეყრდნო მხოლოდ ჩემს მეხსიერებას და ისე ვიმსჯელო საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეზე, მინერალურ წყლებზე და ასევე ჩვენს სხვა შესაძლებლობაზე; მაგრამ თუკი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კადრულობენ გეოლოგიაში ელემენტარული ცოდნის გარეშე, ხელაღებით თქვან, როგორც მაგალითად, ედუარდ შევარდნაძემ, – საქართველოს რა რესურსები აქვს ბორჯომის წყლის გარდაო, დილეტანტის დონეზე მაინც ყურადსაღებად ვთვლი ჩემს პასუხს, შევარდნაძემ შეძლო და თავისი „ელიტარული“ ინტელიგენციის საშუალებით მოშალა, მონაგრია საქართველოს სახელმწიფოებრიობა, სულ მუდამ ცდილობდა ქართველი ხალხი დაერწმუნებინა ბუნებრივი რესურსების არარსებობაში, დაემცირებინა საქართველოს როლი თავისი ხალხისა და კაცობრიობის თვალში. საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და რესურსებზე ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდა მთავრობას არ გააჩნია თავისი პროფესიული აზრი, ან კი რა მოეთხოვებათ 25-40 წლის ახალგაზრდებს, როცა მათ შორის ძალიან იშვიათია მეცნიერი. მეცნიერება კი ამ წლოვანებაში არ ქმნის შედეგებს, არამედ აგროვებს ცოდნას, რომ შემდგომ, ხანდაზმულობაში მოახდინოს მისი რეალიზაცია, – მომავალში შექმნას ფუნდამენტალური ღირებულების შედეგები. სწორედ ეს ახალგაზრდობა ცდილობს მინასთან გაასწოროს მეცნიერება. მე დავამუშავე საკითხი, რომლის შესწავლასაც 2 საუკუნის განმავლობაში ცდილობდა კაცობრიობა – წყალსაცავების საომედლობის, წყალსაცავებიდან ფილტრაციის მატების საწინააღმდეგოდ პროგნოზირების და საჭირო ღონისძიებების შესახებ (თუმცა ეს დღეს სულაც არ აინტერესებს სამამულო წარმოებას) და წავედი მსოფლიოში გაბატონებული თეორიის წინააღმდეგ, ბუნებაში არსებული პროცესები გადმოვიტანე ლაბორატორიაში, თუმცა დიდი რისკის ქვეშ ვიდექი. შეიძლება ვერ მიმეღო კანონზომიერებები, მით უფრო, რომ ეს ექსპერიმენტები სამ სერიად ტარდებოდა:

ერთი-123 დღე-ღამის, მეორე – 70 და მესამე – 50 დღე-ღამის განმავლობაში (როცა მსოფლიოში ჩატარებული იყო მხოლოდ 3 დღე-ღამიანი ექსპერიმენტი). ცდებმა გაამართლა, მივიღე საჭირო და საიმედო კანონზომიერებები და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ამერიკის (რომელიც პირველ პირობებში მეცნიერებაში თვლის წყლის რესურსების საკითხს) საერთაშორისო ინსტიტუტმა გამოცხადდა მსოფლიოში, მეცნიერებაში წლის ქალად და მიმინვია VI საერთაშორისო კონგრესზე. მათ მაცნობეს, რომ მსოფლიოში მილიონი გამოჩენილი მეცნიერიდან მხოლოდ 500 დელეგატი შეირჩა და მათ შორის მეც. რა ბედი ეწია ჩემს გამგზავრებას ოქსფორდში? ის, რომ 17 ლარიანმა პენსიონერმა ვერ შევძელი მომეძებნა სპონსორი (უარი თქვა ნიკო ლევიშვილმა გზის ხარჯებზე) და წავსულიყავი ამ ფორუმზე. ამას ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ გაიგოს ხალხმა და მთავრობამ, რა გაჭირვებაში ვცხოვრობთ ეს ხანში შესული, პარლამენტარებზე სამშობლოს წინაშე არა ნაკლებ დამსახურებული მეცნიერები. ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზე, რომ როგორც აღვნიშნე არცერთი მათგანი არ არის მომნიშვნეული იმდენად, რომ მათ იცოდნენ მეცნიერების ფასი და ამიტომაც, კი არ გაგვითანაბრეს მეუბოვებს, არამედ სახვეწრად გაგვიხადეს საქმე, მათი 200ლარიანი ხელფასი მაინც გვექონოდა ჩვენც (სულ საქართველოში 1000-მდე შეიძლება იყოს დოქტორი, რომლებმაც ორჯერ დაიცვეს დისერტაცია). ნუთუ ასე ძნელი იყო ბიუჯეტიდან გამოეყოთ მათთვის ორასლარიანი პენსიები?

ესლა გადავიდეთ იმ მტკივნეულ საკითხზე, ბუნებრივ რესურსებზე, თუ რა შემორჩა ჩემს მეხსიერებას, რით შეგვიძლია ჩვენ ვიყოთ მშვიდად და ზოგ შემთხვევაში ვიამაყოთ კიდევ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით.

ჯერ მინდა მოგახსენოთ, რომ 1933 წელს ბატონმა ალექსანდრე ჯანელიძემ (რომელიც მსოფლიოში ცნობილი მაღალი დონის მეცნიერი იყო) შექმნა მთელი გეოლოგიური სკოლა და რუსეთიდან გეოლოგები აქ ჩამოდიოდნენ, რათა შეესწავლათ ნამდვილი გეოლოგია, სწორედ ის ეტოქებოდა ფილოსოფოს კანტს სამყაროს წარმოშობის საკითხში. თავისი თანამებრძოლი გეოლოგებით საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრების შესასწავლად მრავალი ექსპედიციით სწორედ მათ აღწერეს მთელი საქართველოს გეოლოგია (შექმნეს ნაშრომი 1200 გვერდზე), წიაღისეული სიმდიდრე:

საქართველოში თითქმის 73 სახეობის სიმდიდრე აღმოაჩინეს (რომელიც შეიცავს მენდელეევის თითქმის მთელ სისტემას), ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუთია, ტყვია, რკინა, ბარიტი... და ა. შ.

ყველა ჩვენი ქედი, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით, მთლიანად შეიცავს წიაღისეულს, ლოპოტის მარმარილო, რომელიც არანაკლებია განთქმულ იტალიურ მარმარილოზე (ლოპოტის მარმარილო შეიცავს CaCO₃-ს – 99%-ს, ხოლო კარარის – 95%-ს). სალიეთის „მარმარილოთი“ ხომ კარგად არის მოსკოვის მეტრო? გარდა მარმარილოსი, გრანიტი, ბაზალტი, გაბრო, მთელი ვულკანური ქანების სახეობები და ა.შ. მთელი კავკასიონი ხომ ამოუწურავი სიმდიდრეა. რუსეთის ისტორიულად ერთი ურალი ჰქონდა და მიუხედავად საუკუნეობრივი ექსპლუატაციისა, ისევ ინარჩუნებს პირველ ადგილს რუსეთის გეოლოგიაში, დანარჩენი დასავლეთი რუსეთის ტრამალები ხომ თითქმის თავისუფალია ბუნებრივი წიაღისეულისაგან. ჩვენ ხელუხლებელი გვაქვს ურალზე უფრო მდიდარი საბადოები. საქართველოში მარტო ოქრო რომ ავიღოთ, დაწყებული პატარა მდინარე გლდანულადან ენგურამდე, მდინარეები თითქმის ყველა(მაგალითად ყვირილას აუზის მდინარეებიც) შეიცავენ ოქროს. ორი საუკუნის მანძილზე, ეკატერინე მეორედან მოყოლებული, ყოველ სეან ოჯახს შენეირილი ჰქონდა წელიწადში 8 გრამი ოქროს მიწერება მოსკოვისათვის.

ახლა ვერცხლის შესახებ: კავკასიონის მწვერვალებს გარშემო აკრავს თითქმის ერთი მეტრი სიმძლავრის ვერცხლის შემცავი ფენა. საკმარისია დავასახელოთ ბოლნისის საბადოების პროდუქტიულობა და წიაღისეულის მრავალფეროვნება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, თუმცა ყოველწლიურად ჩქმალავდნენ მოწოდებებს, თუ რა წილი ჰქონდათ რესპუბლიკებს სახელმწიფო ბიუჯეტში, ცნობილია, რომ 9 მილიარდი და მეტიც მიდიოდა საერთოდ საქართველოდან და გვიბრუნდებოდა რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის მხოლოდ 2 მილიარდი. ფირინოვსკი ამას ამბობს, რომ თითქოს ჩვენ მოსკოვი და რუსეთი გვარჩენდა ორი საუკუნის განმავლობაში. მისი თქმით, თითქოს რუსეთი ჩვენგან არაფერს სარგებლობდა და კეთილშობილური ყესტით ჩვენს რესპუბლიკებს უანგაროდ ეხმარებოდა. კარგად მახსოვს ხრუშჩოვის ეპოქის შემდეგ როგორ გაღარიბ-

გავრძელება მე-8 გვ.

ემზარ ყვიციანის მორიგი ყოცნიმცემი

რუსეთის ტელევიზიის I არხით, მიხეილ ლეონტიევის გადაცემა „Однако“-თი გამოსულმა ემზარ ყვიციანმა საქართველოს ხელისუფლებას მორიგი ულტიმატუმი წაუყენა: „გაათავისუფლეთ პატიმრობაში მყოფი ყველა პოლიტპატიმარი (იგულისხმება ირაკლი ბათიაშვილი და იგორ გიორგაძის მომხრე პატიმრები), ჩემი თანამებრძოლები და მათ შორის ჩემი და ნორა ყვიციანი! გაიყვანეთ საქართველოს შინაგანი ჯარი კოდორის ხეობიდან! წინააღმდეგ შემთხვევაში კოდორის ხეობა დაიკარგება საქართველოსთვის და ამაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება სააკაშვილსა და ჯორჯ ბუშს!“

საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილმა ემზარ ყვიციანმა აღნიშნული მიმართვა კვლავ კონსპირაციული ადგილიდან გააკეთა, თუმცა კვლავ განაცხ-



ადა, რომ კოდორიდან არსად წასულა და რომ თავის სოფელ ჩხალთაში იმყოფება, რაც ნაკლებ დასაჯერებელია და უფრო სარწმუნოა, რომ იგი აფსუა სეპარატისტების რომელიმე კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება.

ყურადსაღებია, რომ გადაცემა „Однако“-ს წამყვანმა ლეონტიევმა ყვიციანი „ამბოხებულ სვანთა“ ლიდერად მოიხსენია, რაც პირდაპირ მიანიშნებს რუსეთის ინტერესებზე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ზემო აფხაზეთში. კერძოდ, გადაბირებულ-მოსყიდული ყვიციანის მეშვეობით მიაღწიონ სვანების შეიარაღებულ დაპირისპირებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ტერიტორიული პრინციპით, რაზეც მეტყველებს მოლაღატი ყვიციანის მუქარა კოდორის ხეობის დაკარგვის შესახებ.

„ნითელი ინტელიგენცია“ – ასე უწოდებდნენ ხელისუფლებასთან და ზვიად გამსახურდიამ ინტელიგენციის იმ ფენას, რომელიც აქტიურად თუ იდუმალად თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

საქართველოს ნითელი ინტელიგენცია იმ დღიდანვე ედგა მხარში ბოლშევიკებს, რა დღიდანაც ოკუპირებული იყო ქვეყანა. ზოგიერთ პოეტს კალმის მაგივრად შაშხანა ეჭირა და მიზანში მამულიშვილები ჰყავდა ამოღებული. აქტიურობდნენ 1924-37-38 წლების სისხლიან და სამარცხვინო ტრაგიკულ მოვლენებში.

ყოველი ჩვენთაგანი მოწმე გახლდით, როგორი „გამარჯვებული“ გამოვიდა იგი ეროვნულ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რა თქმა უნდა მოსკოვური გეგმითა და დაფინანსებით. მაგრამ მომავლის მიერ, როგორც შეფასდება მათი „ნაღვანი“

კარგად უწყიან და ცდილობენ ახალი მატყანე შეთხზან. ეს განზრახვა ამაოა, მაგრამ მაინც ცდას არ აკლებენ. განამაწიანა შევარდნაძის რაზმის მთელი შემადგენლობა წყლის მომტანის ჩათვლითაც კი, რასაც ხელს უწყობს ზოგიერთი ბექდვითი სიტყვა და სატელევიზიო არხი, გაზეთს ვერ გაშლი, რომ შიგ შევარდნაძის ინტერვიუ არ იყოს. ხშირად გამომწვევად გვიღიმის ტელე-ეკრანიდან. ყოველ გამოსვლაში თავს წარმოაჩენს, როგორც „ერისკაცი“ ელცინისგან ოთხგზის (შევარდნაძისვე აღიარებით) მოტყუებული „მოღვანი“. ხშირად მედიის ყურადღება ეთმობა ქვეყნის დამაქცევლებსა და ამომგდებთ – თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანს. განა მეტი ცინიზმით მაყურებლისა და მკითხველის შეწუხება შეიძლება, როცა მკვლელებს ეკითხებიან – გვირჩიეთ სად დავმარხოთ ზვიად გამსახურდიას?!

რამდენიმე ხნის წინ ცენტრალური ქუჩების ქვაფენილებზე უკანონოდ მიშენებული ჯიხურები და ფარეხები დაანგრიდა მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა „ოპოზიციამ“ კინაღამ იარაღი აიღო

ხელში, – კერძო საკუთრებას ხელყოფს მთავრობაო. ქვეყნის დამაქცევლების სამართალში მიცემა და დასჯის მოთხოვნა ფიქრადაც არ მოსდით. როცა ეროვნულ და თავისუფალ გაზეთებს არბევდნენ, მაშინ ვახერხებდით ედ. შევარდნაძის საორშაბათო ცრუ-რადიო ინტერვიუების გაქილიკებას საერთო სათაურით – „გლახის ნაამბობი“.

ამას წინათ „მზერა“ საკვირაო გადაცემაში გამოესარჩლა ზოგიერთ ნითლადყოფილ კალმოსანს და ხელოვანს. არ გაგიკვირდეთ, ერთერთ პირველ ანტისაბჭოთა „დისიდენტად“ ლანა ლოლობერიძე წარმოგვიდგინეს. თითონაც შეიფერა ეს „როლი“, შევარდნაძის გუნდის მონინავე წევრმა, ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ

ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილ ყველა რეპრესიას უწონებდნენ საბჭოთა მთავრობას. მერე როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სისხლს უშრობდნენ, იარაღით ხელში ებრძოდნენ პირველ პრეზიდენტს, მათ შორის იყო მწერალი, მსახიობი, რეჟისორი, მომღერალი, მეცნიერი... ვინც ჯაბა იოსელიანის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვა მოითხოვა, განა „ნითელი“ არ არის? ვინც „მხედრობის“ თანაუგრძნობდა და მისი იდეოლოგი იყო, რა ფერისა გახლდათ? განა ავთანდილ მარგიანი არ მოელაპარაკა რუს მაღალჩინოსან ბალტინს, რომ ცეცხლის ხაზი აფხაზეთიდან სამეგრელოში გადმოეტანა. როგორც ამბობენ, კუთვნილი გასამრჯელო ეგზეკუციის ხელმძღვანელს – ნახევარი მილიონამდე დოლარის ოდენობით მომღერალ ნანი ბრეგვაძის

ნითლები და ნითლადყოფილები

უნივერსიტეტის კიბეებზე ჩამომსხდართა თაოსანმა. ამ საკმაოდ ვრცელ რეპორტაჟში ილაპარაკეს „ნითელი ინტელიგენციის“ ტერმინის „აბსურდულობაზე“, ფარად გალაკტიონიც იმარჯვეს. რა საერთო უნდა ჰქონოდა პოეტთა მეფეს პლაგიატ შემოქმედებთან?!

„ნითელ ინტელიგენტებად“ მოიხსენიებიან სწორედ ისინი, რომლებმაც თვითმფრინავის გამტაცებელთა დახვრეტის მოთხოვნის მიმართებებზე ხელი მოაწერეს, ისინი, რომლებმაც უარი განაცხადეს მერაბ კოსტავას კარცერიდან ჩვეულებრივ საკანში გადაყვანის შუამდგომლობაზე დაესვათ თავიანთი სახელი და გვარი და რომელსაც უყოყმანოდ დაუსვა თავისი ხელრთვა კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ. იდიდოს მისმა სახელმა!

მოსწავლე ზვიად გამსახურდიას ციხიდან დასახსნელ მიმართვას საბჭოთა მთავრობისადმი, მწერალთაგან მხოლოდ ხუთმა მოღვანემ – თავად პატიმრის მამამ, პავლე ინგოროყვამ, შალვა დადიანმა, გერონტი ქიქოძემ და აკაკი განერელიამ მოაწერეს ხელი.

ხელით მიართვესო (რა თქმა უნდა სახელმწიფო საბჭოს მიერ ნაძარცვი თანხა).

სახელმწიფო წინ ვერ წავა, თუ მას ჯანსაღი აზრის შინაური მოწინააღმდეგე არ ჰყავს. მაგინებლებსა და ცილისმწამებლებს კი ხალხი ოპოზიციად არ მიიჩნევს. ჩვენი „ოპოზიციისაგან“ არასოდეს გამიგონია, – რატომ აფარფაშებთ საქართველოს დამაქცეველ-დამანგრეველებს და რატომ არ აღძრავთ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმესო.

ეს მცირე შენიშვნა მკითხველმა და მომავალმა თაობამ მიიღოს, როგორც გაფრთხილება, რათა ყალბისმქნელებმა შეცდომაში არ შეიყვანონ ისინი. კარგად გაერკვნენ, ვინ არიან ნითლები და ვინ ნანითლარები! მიგვაჩნია, რომ ეს აუცილებელი და საჭირო შავისა და თეთრის გასარჩევად.

ამჟამად დავინდე ზოგიერთი მათგანი, ბევრის კონკრეტული დასახელებიდან თავი შევიკავე. დე მიიღონ ჩემი თითქმის რბილად ნათქვამი შენიშვნები, როგორც გაფრთხილება და თავი შეიკავონ ყოველგვარი სიყალბისაგან.

რევაზ ურუშაძე

„კანონიერი“ ქუჩის შაქო ჯაღმოვის საგვარეულო სასაფლაო მახათას მთაზე




საბჭოთა სოციალისტური სისტემის ჰიბრიდი – კანონიერი ქურდის ინსტიტუტი, პერმანენტული დარტყმების მიუხედავად დღესაც საკმაოდ მყარად დგას და იგი ცი-

ხის კედლებიდანაც განაგრძობს მოქმედებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიხეილ სააკაშვილისა და მისი ძალოვანი მინისტრის ვანო მერაბიშვილის ქაღილი, რომ მათ ხერხემალში გადატეხეს ქურდული სამყარო – გაზეთადებულია და მათ სრულ გაუვნებელყოფობამდე ჯერ კიდევ დიდი ბრძოლებია საჭირო. „კანონიერ ქურდებს“, რომ დიდი ამბიციები, დიდი გემოვნება და ქონების დაგროვების დაუოკებელი მადა გააჩნიათ, ეს მათ სრა-სასახლეებიდან და თუნდაც სამუდამო განსასვენებლის – (სასაფლაოების) მდიდრულად კეთილმოწყობის მიდრეკილებებიდანაც ჩანს, რის დასტურადაც გთავაზობთ თბილისელი, კანონიერი ქურდის ეროვნე-

ბით ქურთი შაქრო კალაშოვის საგვარეულო სასაფლაოს ფოტოსურათს მახათას მთაზე შიდა მარმარილოს ინტერიერთა და გარეთ ათეულმეტრიანი რკინის ეკვდერით (იხ. 1 და მე-2 სურათი).



მეჩენეთში მოვინახულე მკვლად გამსახურდიას საფლავი (ინტერვიუ ვალერი გაბელიასთან)



– ბატონო ვალერი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უმცროსმა ვაჟმა გიორგი გამსახურდიამ თავის სატელევიზიო გამოსვლებში თქვენ დაგასახელათ ერთ-ერთ თანმხლებ პირად, რომელიც 2000 წელს მასთან ერთად ჩახვედით იჩქერიის დედაქალაქ გროზნოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საფლავის მოსანახულებლად, ადასტურებთ თქვენ ამ ინფორმაციას?

– რა თქმა უნდა. და ეს არ იყო ჩემი პირველი ჩასვლა გროზნოში ბატონი ზვიადის საფლავის მოსანახულებლად. მე იგი მოვინახულე პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის სიცოცხლეშიც. მაშინაც საომარი მოქმედებების შედეგად საფლავი თითქმის ნანგრე-

ვების ქვეშ იყო მოქცეული და ბატონი ჯოხარის დახმარებით 7 სატივროთ მანქანა ქვა-ღორღი გავიტანეთ საფლავის მიმდებარე ტერიტორიიდან და იქაურობა მოვასუფთავეთ. ჩვენ იქ დაგეგმილი გეგონდა ზვიადის სახლ-მუზეუმის მოწყობა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებაში ხელი შეგვიშალა ხანგძლივმა ომმა და ამ ომში პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის დაღუპვამ.

– 2000 წელს, როდესაც თქვენ ხელმძღვრედ მოინახულეთ ბატონ ზვიადის საფლავი, რა მდგომარეობაში დაგხვდათ იგი და ხომ არ გაგჩენიათ ეჭვი, პრეზიდენტის ნეშტის შესაძლო გადატანის შესახებ!

– როდესაც ჩვენ პირველად მოვინახულეთ საფლავი ბატონ ჯოხარ დუდაევის მხრიდან ჩვენს შორის დაისვა საკითხი ბატონ ზვიადის საფლავის გადატანის შესახებ საომარი მოქმედებების გამო და თითქოს ქ-ნ მანანასთან შეთანხმდნენ კიდევ ამაზე. მე, მართალი გითხრათ, მანანასა და მის ვაჟებთან შემდგომ ამის თაობაზე არაფერი მიკითხავს.

– მაგრამ 2000 წელს, როდესაც თქვენ იქ ჩაბრძანდით, მიხვედით პირველადი საფლავის ადგილზე, ასე იყო, არა?

– კი, ჩვენი იმავე ადგილას მივედით.

– ახმედ ზაკაევთან თუ გქონდათ რაიმე ურთიერთობა და თუ გინევდათ იგი რაიმე დახმარებას.

– დიას, მეორედ ჩასვლის დროს ჩვენ გვმასპინძლობდა ბატონი ახმედ ზაკაევი, რომელიც მაშინ კულტურის მინისტრი იყო, მასთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათებიც კი გვაქვს გადაღებული. 2000 წელს ჩვენ ქრისტიანული წესით აღვნიშნეთ აღდგომა ბ-ნ ზვიადის საფლავთან და ჩვენთან ერთად ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა ბატონი ახმედ ზაკაევიც.

– ბატონი ახმედი ეჭვის ქვეშ აყენებს ზვიადის ნეშტის აღმოჩენას პირველადი განსასვენებლის ადგილზე და კატეგორიულად აცხადებს, რომ ნეშტი მისი და რამდენიმე სანდო პირების მიერ გადასვენებული იყო. თქვენ რისი თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?

– მე, ვერც დავადასტურებ და ვერც უარყოფ. ბატონ ახმედი ბატონ ზვიადისა და ბატონ ჯოხარ დუდაევის ნდობით აღჭურვილი პიროვნება გახლავთ და მის განცხადებებში მე ეჭვს ვერ შევიტან. ნეშტი ეკუთვნის თუ არა ბატონ ზვიადს ეს უნდა დაადასტუროს კომპენტენტურმა ექსპერტებმა, რუსეთის, საქართველოს და უკრაინის საერთაშორისო ექსპერტებმა. მხოლოდ ამგვარი ერთობლივი ექსპერტების დასკვნას შეიძლება ვენდოთ. ასეთია ჩემი პოზიცია.

– გმადლობთ.

ესაუბრა ქეთევან ჭანტურია
2007 წ. 18 მარტი

მცირე რამ საქართველოს ინტელექტუალურ და ბუნებრივ რესურსებზე

დასაწყისი მე-6 კვ. და სახელწიფო, პურზე-დაც კი დიდი რიგები იდგა. მოსკოვში ამ დროს საქართველოდან იგზავნებოდა მთელი შემოსავალი, დაწყებული სულგუნიდან ყველა სახის მოსავალი. იმ დროს, მოსკოვში ყოფნისას 9 კვ. სულგუნი მოსკოვიდან წამოვიღე და საჩუქრად დაფურთხე ჩემს მეზობლებს, ან ის, რომ ლენინგრადში კონფერენციაზე ყოფნისას ქ. პერნის სამთო ინსტიტუტის რექტორმა 9კვ. ხორცი ნაილო პეროში, რადგან ლენინგრადსა და მოსკოვის გარდა, პერიფერიებში დიდად ჭირდა ამ პროდუქტის შოვნა. მე მეორე მსოფლიო ომის დროს არ მინახავს ქართველი მათხოვარი, რუსები კი მრავლად იყვნენ. ჩვენ ვუყოფდით მათ ლუკმას. დღეს კი შევარდნაძე, რომელმაც ისე გააპარტახა საქართველო, რომ მე და ჩემნაირი მეცნიერები მათხოვრად გვაქცია, კარგად არის გაფანჯრებული კრწანისის საკუთარ რეზიდენციაში. ასე განცხრობით ცხოვრობენ ჩვენი მონაპოვარით პარლამენტარები, რომელთაც ჩვენ ხვედრად შიმშილში სიბერე გვარგუნეს.

საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა, რომელიც დიდი რაოდენობით რესურსებს ფლობს. მარტო შავი ქვით უნდა გაიტანოს თავი. ზესტაფონიდან საჩხერემდე საბადოს აუზი გრძელდება და შეიცავს ნამდვილად მაღალი ხარისხის მადანს – პეროქსიტს. თუკი არ და ვერ მოვახერხებთ მათი ექსპლუატაცია ყოველთვის დაფრჩხობით. ან, ვთქვათ, ნავთობის მოპოვება რატომ არ ხდება საქართველოში? დაწყებული ფოთიდან (ჭალადიდან) კახეთამდე? როგორც ამბობენ ამ საბადოს ტორი დაადო შევარდნაძემ, არც თვითონ ანარმოებს და არც სხვას აძლევს უფლებას, როგორც წესია ცივილური გზით მოიპოვონ, როგორც გაზი, ასევე ნავთობი. ამისათვის საჭიროა ჭაბურღილების გაჭრა. ამერიკას რომ ვბაძავთ ყველაფერში, ამაშიც მივბაძოთ-თუ მას 17 კილომეტრიანი ჭაბურღილები აქვს გაჭრილი, ჩვენ 4-5 კმ-იანი იოლად გავალთ. ჩვენ მილიარდერები და მილიონერები ამისათვის უნდა იწუხებდნენ თავს.

ჯერ არაფერი გვითქვამს მინერალურ წყლებზე. ჩვენთან, საქართველოში, ჩვენი ჰიდროგეოლოგების მიერ შესწავლილია თითქმის 2000-ზე მეტი წყალი, რომლებსაც სამკურნალო თვისებები გააჩნია. განა ეს სიმდიდრე არ არის? ჩვენი დასალევი წყაროს წყლით დაინტერესებულია, როგორც მახსოვს, საფრანგეთი.

ესლა ზედაპირულ წყლებზე აგებული ჰესების შესახებ მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოში იყო სულ სამი ჰიდროელექტროსადგური: რიონჰესი, ზაჰესი და ხრამჰესი. მაშინ საქართველოს მოსახლეობა დღევანდელზე მეტი იყო. ეს სამი ჰესი აკმაყოფილებდა საქართველოს მოსახლეობას და მის მაღალ დონეზე განვითარებულ წარმოებას. ესლა ჩვენ ათეულობით ჰესები გვაქვს და კიდევ მეტი უნდა ააგონ. ამიტომ არ ითვალისწინებენ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიის 30% არის მხოლოდ სავარგულეები და ისიც წყლით უნდა დაფარონ? სხვა მთას უკავია და იქ მინათმოქმედების განვითარებისათვის პირობები არ არის. გამოდის ის, რომ გლეხი უნდა დაგვტოვოთ უმიწოდ, რითაც გლეხი უნდა ვაიძულოთ დატოვოს სოფელი და გაემართოს ქალაქისაკენ. რატომ არ ვცდილობთ დავამაგროთ გლეხი მიწას. ჩვენი ქვეყანა მიწის სიყვარულმა გადაარჩინა, ჩვენი ქვეყანა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერ მოვალწევდით აქამდე, თუმცა შაგრენის ტყავივით შემცირებულია, მაგრამ მაინც ხომ ვარსებობთ? გავიგოთ, რომ მხოლოდ სარწმუნოების და მიწის სიყვარულმა გადაარჩინა საქართველო მსოფლიო რუკაზე. მართლმადიდებლობა და მიწის სიყვარული დიდი დასაყრდენია ჩვენი ქვეყნის არსებობისათვის და გავუფრთხულებით ამას, თუმცა ტელევიზია და მთავრობა დიდად არ აქცევს სათანადო ყურადღებას ამ ფენომენს, ნერგავენ ურწმუნოებას და გარყვნილებას.

მე, როგორც წყალსაცავებიდან ფილტრაციის რეგულირების, ისე მისი შემცირების მიზნით არ

მიმანჩია დასაშვებად წყალსაცავების კიდევ უფრო გამრავლება საქართველოში. სწორედ 30% სავარგულეების შენარჩუნების მიზნით საჭიროა აიგოს მცირე ჰესები და არსებული ჰესები მოიყვანონ წესრიგში, ისე, რომ გამოსაყენებელი გახადონ მომავალში, ამისათვის საჭიროა ასიგნირება, მაგრამ უფრო ნაკლები ხარჯებით. მრტ ეფექტ მივალწევთ, მერწმუნეთ!

სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებაც არ არის ადვილი. დასავლეთ საქართველო ზომამდე მეტად არის მდინარეული ქსელით დაფარული და მიწისქვეშა წყლებიც ახლოს არის მიწის ზედაპირთან, ვიდრე აღმოსავლეთით. არსებობდა პროექტი წყალთა მეურნეობის საპროექტოში, იმის თაობაზე, რომ გადმოესროლათ დასავლეთის ჭარბი წყალი აღმოსავლეთ საქართველოში. ეს პროექტი რთულია და დიდ ძალისხმევას თხოვლობს, არა და ძალიან საიმედოა. დიდი დოვლათის მომცემია, ჩვენი მილიარდერები იქნებ დაინტერესდნენ ამ პრობლემით, ეს ხომ საშვილიშვილო საქმეა? ჯერ მისახედია, ხრამის აუზი, რომელიც ბინძურდება ბოლნისის მადნეულის ციანიდებით. ამას ემატება ხრამის გაბინძურებული წყლით რუსთავ-ქალაქის მომარაგება. ეს გამოიწვევს ჩვენი ხალხის ფიზიკურ და გონებრივ ანომალიებს. ამ საკითხს უნდა სერიოზულად მივხედოთ. აქვე მინდა დავამატო, რომ არა მარტო წყლის რესურსებით და საერთოდ ბუნებრივი რესურსებით ვართ მდიდარი, არამედ სხვადასხვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით. ხოლო მათი სარფიანი შემოსავლით ხომ უფრო შეივსება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი, თუნდაც ესლახან მიღებული ოთხი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალი 8 სახეობის ღვინის ნიმუშების წარდგენით და გამარჯვებით მსოფლიო ბაზარზე?

ელენე აბაშიძე
გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

პრეზიდენტის დაკრძალვა



როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაში ათი ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. დაკრძალვის დღეებში, თბილისში წინასწარ ჩამოვიდნენ ადამიანები მთელ საქართველოდან – მთიდან და ბარიდანაც.

1 აპრილს პრეზიდენტის დაკრძალვაზე მცხეთაში ჩამოსული იყვნენ ხევსურები და მოხვედრები ცხენებით. მათ და მათ მიერ ჩამოყვანილ ბავშვებს ტანზე ემოსათ კუთხური, კოლორიტული ჯუბა-ხალათები და თავსაბურავები. ზუგდიდიდან ჩამოსულმა მოსახლეობამ საყვარელ პრეზიდენტს მცხეთაში ჩამოუტანეს ბზებით განყოფილი გიგანტური გვირგვინი, ხოლო ზესტაფონელებმა – მრავალმეტრიანი შინდისფერი დროშა, რომელიც ორ ათეულამდე ადამიანს მოჰქონდა. დაკრძალვის პროცესიაში ჭარბობდნენ ახალგაზრდები.

უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით მიზანშეწონილი, მართებული და ნიშანდობლივიც იყო ზვიად გამსახურდია გამოესვენებინათ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან. და ეს გადაწყვეტილება სავსებით კანონზომიერად მიიღო პრეზიდენტის ქვრივმა ქალბატონმა მანანა არჩვაძემ.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზო და მიმდებარე ტერიტორიები გადაჭედილი იყო ხალხით, რომელთა ნაწილს ხელში ეჭირათ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სამფეროვანი შინდისფერი დროშები.

ალან პასომში (ეროვნებით ოსი) „ამჟამად გამსახურდიას სიკვდილის ვითარება მეტ-ნაკლებად ნათელია – ის სიცოცხლეს გამოასალმებს შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის სპეციალური დანიშნულების ნაწილის უშუალო მონაწილეობით“.

გაზეთი „ნებავისიმაია გაზეტა“ №23(1594) 12.II.1998 წ.

აქვე იყო გრძელი თეთრი ნაჭრის პლაკატი ლურჯისფერი ქართულ და ინგლისურენოვანი წარწერით – „ზვიად გამსახურდია თავისუფლების სიმბოლო“, რომლის ტარებთან ფრიალებდა თავისუფალი იჩქერიისა და თავისუფალი საქართველოს დროშები. გულისტიკივლით უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული და ბექდვითი მედიის ჟურნალისტებმა, ვერ გაბედეს ამ პოლიტიკური სიმბოლიკით დატვირთული პლაკატის კადრში მოხვედრა და ვერც საგაზეთო მასალებში დაფიქსირება, არამედ, მას საგანგებოდ არიდებდნენ პროფესიულ თვალს და იგი მხოლოდ ფოტო და ვიდეომოყვარულთა კადრებში ხვდებოდა, მეტწილად – მობილური ტელეფონებით.

მერიის კეთილმონყოფის სამსახურის უფროსის კობა სუბელიანის მხრიდან მრავალჯერ იყო მცდელობა პრეზიდენტის სასახლისათვის სამფეროვანი შინდისფერი დროშის მოცლისა და მის ნაცვლად სააკაშვილის

მმართველი პარტიის ხუთჯვრიანი დროშის გადაფარების, რაც პრინციპულად და კატეგორიულად აღკვეთა პრეზიდენტის ქვრივმა ქალბატონმა მანანა არჩვაძემ.

სვეტიცხოვლის ტაძრიდან 9^მ სთ-ზე გამოსვენებული პრეზიდენტის სასახლე ხალხმა, დაახლოებით 1 კილომეტრის მანძილზე, მცხეთის ხიდამდე ფეხით ატარა. ხიდიდან კი დაიძრა ავტომანქანების კოლონა. ავტობუშებზე, სამარშრუტო ტაქსებზე და მსუბუქ ავტომანქანებზე გამოკრული ჰქონდათ ზვიად გამსახურდიას სურათები და უმრავლეს მათგანზე ფრიალებდა შინდისფერი დროშა.

ძნელია ავტომანქანების ზუსტი რაოდენობის თქმა. ეს იყო უუგრძესი მანქანების კოლონა ხმაურიანი სიგნალებითა და დროშების ფრიალით. სანახაობრივად ტრიუმფალური, ძლიერ შთამბეჭდავი და ამალელებელი, რაც, ერთდროულად: მწუხარების, სიამაყისა და აღმაფრენის ცრემლს ჰგვრიდა, როგორც პროცესის მონაწილეთ, ასევე შორი-ახლო მნახველთ.

ეს იყო თავისუფლების ტრაგიზმით გაჟღერებული მძაფრი, უკანასკნელი აკორდი.

პრეზიდენტის დაკრძალვის დღეს საზღვარგარეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები: ტარიელ გელანტია, ვანო ტურაშვილი, გოგი გულბანი და სხვ. აგრეთვე, ეროვნული მოძრაობის ცნობილი სახე გოჩა კელენჯერიძე.

თბილისში, ცენტრალურმა ქუჩებმა პროცესიის მანქანები უკვე ვეღარ დაიტია და გმირთა მოედნიდან ხალხმა ფეხით იწყო დენა. რესპუბლიკის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე რუსთაველის პროესპექტი ხალხით იყო გადაჭედილი. პრეზიდენტის სასახლე, მცირე ხნით, ყოფილ მთავრობის სახლთან (ახლანდელი პარლამენტი) დაასვენეს, სადაც სააკაშვილი თავისი სახელისუფლო გუნდით მივიდა, მაგრამ არ თქმულა, არც ერთი სიტყვა, არც პარლამენტთან და არც მთანმიდაზე, სადაც, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, საბოლოო განსასვენებელი ჰპოვა თავისი სულიერი ძმის მერაბ კოსტავას წინ და ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით.

პრეზიდენტ ზვიადგამსახურდიას დაკრძალვის პროცესში მრავლად იყვნენ ჩოხიანი ადამიანები, როგორც საშუალო ასაკის, ასევე მოზარდი გოგო-ბიჭუნების სახით.

14 წლის შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი საკუთარმა ხალხმა დაიტირა და დაკრძალა ისე, როგორც ახლადგარდაცვლილი პრეზიდენტი და ეროვნული გმირი. მსგავსი პატივი და სიყვარული არ რგებია და არც მომავალში ერგება ხელისუფლების, არც ერთ პირველ პირს, რამაც აშკარად ნაუხდინა ნირი პირველობის მანიაშეყრილ მიხეილ სააკაშვილს.

ეს იყო ის გრანდიოზული სურათი, რომლის ცხადლივ ხილვას ასე უკრთოდნენ ორივე ხელისუფალნი – შევარდნაძე და სააკაშვილი და რასაც 14 წლის შემდგომაც ვერ აცდნენ.

„ღსმუ ღაღაჟი...“

მარეხ ბალიშვილი



ჩემი ცხუმი სისხლში ცურავს...დაეცა...
რას გვეტყოდით,-კოლხურ კოშკის
პატრონო...

პირმშო თქვენი ჩამობრძანდა უშიშრად,
რისკის ფასად,-კონსტანტინე ბატონო.
გახსოვთ, როგორ მოვეპყარით უღმერთოდ,
ვაჟკაცობის და ღირსების პატრონო...
ქრისტეს ისევ ბარაბა ვამჯობინეთ...
ამჟამადაც მეშინია ბატონო...

ჯიხაშკარში ემისრები დაძრწიან,
სიტყვისა და მუზის დიდო პატრონო,
ვით შეგბედოთ,-თქვენი შვილი ნამდვილად,
საფრთხეშია, კონსტანტინე ბატონო...
ტყე და ღრეში ჩემს პრეზიდენტს
რა უნდა?!

გარს არტყია ბურუსი და წყვდიადი,
საქართველოვ, ეხლა მაინც მოდი გონს,
ხედავ? – ცოდვას კვლავ გვპატიობს
ზვიადი...

თუმც იუდას აბა რა მოასვენებს,
აღარ წყდება გამყიდველთა რიალი,
რა გონს მოსვლა, სინანული წარსულთა,
იმ წყეული ვერცხლის ისმის ჩხრიალი...

ცოფიანთა ხროვას შერჩნენ პირისპირ,
ღაღატი და ერის გმირი მარტონი,
დრო იხელთეს, დაგეშილი ძაღლივით,
კვალში უდგას სატანა და მასონი.

ვის მივმართო, ვის მიუხმო საშველად,
ღარიბთა და უპოვართა პატრონო,
თვით მაღალ ღმერთს გულმხურვალედ
შესთხოვეთ,

თქვენი პირმშო დაიცავით, ბატონო...
დღეს მაცხოვრის მოვლინების დღე არი,
დალოცვილი, ბრწყინვალე და დიადი,
ო, უფალო,-გადმოგვხედე მოწყალედ,
დაიფარე, დაიფარე ზვიადი...

25 დეკემბერი, 1993 წელი
ქ. სოხუმი

ირინე ტალიაშვილი



ჭოეზია

ღამის სერობა

ნეტავ ტკივილი დამაძლევინა, არა ვგრძნობდე და არა ვხედავდე, რა უსასრულო უფსკრული არის დაღამებიდან გათენებამდე. რაა სიჩუმე? რა იკითხება? ვერ გამიგია, რატომ ვლონდები. გულს კვლავ მიხეთქავს თოკის ყულფები და კვლავ იუდას მონოლოგები. სამჯერ იყივლა უკვე მამალმა, ნუთუ იუდას კერძი ვიქნები? იდუმალ ნადიმს ისევ უსხედან ახალი დროის მერიქიფენი. ჩვენი ქვეყანა-შაგრენის ტყავი, დღითიდღე მცირობს, მწირობს, ნალმდება

და უსახური მტერთან ბრძოლაში, ყფრო და უფრო პატარავდება. დრო გაინელა, დიალოგები მშვიდობიანი, აღარ მთავრდება და ხელის ქნევა-ჩამორთმევაში საქართველო კვლავ პატარავდება... ნეტავ ტკივილი დამაძლევინა, რა საჭიროა მძაფრი გრძნობები! აღარ მთავრდება ღამის სერობა და კვლავ იუდას მონოლოგები.

პოეტი

როცა სიბნელე მრუმე ფერია, როცა წყალიც კი სიმშვიდეს ჰპოვებს, ძილგატეხილი დარაჯობს ღამეს, არ ეძინება მხოლოდლა პოეტს. გულნისლეული დასცქერის ქალაქს, ფრთებს ულამაზებს ასოებს ქართულს, თავს დაჰფოფინებს ფრესკულ სახეებს და ორნამენტად ქმნილ ასომთავრულს. მოედინება მწკრივად ანბანი, კალამიც აზრთა სამოსელს იმკობს, და ღამეც გრძელი, ფიქრმორეული, ხნულებად აწყობს სტრიქონზე სტრიქონს.

პოეტის გული ცეცხლით სავსეა, მითიურ გმირებს იმედი იპყობს, რომ მამაცურად ტეხენ ბნელ ღამეს და აცოცხლებენ ქალაქზე სტრიქონს. და თვით მესიტყვეც მითიურ გმირს ჰგავს, მასაც წინაპრის ქიტონი მოსავს, ხმალის მაგიერ კალამი იბრძვის და გამარჯვებას პირდება მგოსანს. როცა სიბნელე მრუმე ფერია, როცა წყალიც კი სიმშვიდეს ჰპოვებს, ქართული სიტყვის გაცოცხლებაში ღამე უტყდება მარტოდენ პოეტს.

ამირანი

სასუფეველთან დგას კვლავ ქარონი და ჩაძირული მოჩანს ნავია, ბრძოლით დაღლილი და დაბორკილი ეს მერამდენე ამირანია?! შემოიქროლებს კლდეთა არწივი

და გასტეხს ღამეს რკინისკარიანს ასე მედგარი, შეუპოვარი, ეს მერამდენე ამირანია?! დგას იალბუზი ხმალამონვდილი და ეომება წლებს დღექარიანს, არ იზომება დროთა მანძილი, ეს მერამდენე ამირანია? და ველოდები იმ საუკუნეს, სადაც წინაპრის დიდი განძია, ასეთი მხნე და მარად ცოცხალი, ეს მერამდენე ამირანია? დგას საქართველო, ვით შუბლი ღმერთის, და უკვდავების ისმის არია, ასე მარადი და ერთადერთი, ისევ და ისევ ამირანია!

პირველს...

ვინ იყო ნეტავ, ქვეყნად პირველი, ვინაც შეახო ქვას საჭრეთელი, ვინაც აქამდე შემოგვინახა ქვა-მეანბანე და ქვა-მეტყველი. ვინც გამოთხარა მღვიმე პირველად, ვინც კლდეში ჰპოვა თვისი საყდარი, ვინაც იცავდა კოშკების ქონგურს, ვინც ააცეცხლა გულის ღადარი. ვინაც პირველი ჩუქურთმა მოსჭრა, და ორნამენტი აახარატა, ვინაც პირველი ხმალი გაჩარხა, ცაზე პირველი ელვა დახატა. ვინაც პირველმა წერაქვით სწერა, ქვას დაუტოვა ლოცვით სათქმელი, ვინაც აქცია მტევანი ღვინოდ და აამაჭრა ქვის საწნახელი. ვინც კლდეში გასჭრა პალატები და ვინც გამოკვეთა მეფე -ვარძია, ვინც თვით უფალსაც აუგო ციხე და ღვთის აკვანი გადაარწია. პირველ ქვისმჭრელს და პირველ მედროშეს, პირველ ოსტატსა და სანთლით მწირველს, დღესაც დიდება პირველ გზის მკვლევარს, პირველ ვარძიელს და უფლისციხელს.

ველარ ვიძინებ

ველარ ვიძინებ, ველარ ვიძინებ, აღარ ეღირსათ თვალებს სიმშვიდე, ო, ღმერთო ჩემო, რად გამაჩინე, რატომ გამზარდე, რატომ მიშვილე?! დგება აპრილი და ხსოვნის კართან აღმართულია ბნელი დილემა, ჩვენ გამარჯვება დაგვრჩა სიკვდილთან რადგან უფალმა ასე ინება. იმ დახოცილებს, იმ მოწამლულებს, იმ დაჩეხილებს ვუჩოქებთ რიდით, ეს ჩვენ მოგვქონდა ზეცა გულებით თავისუფლების სადროშოს ვქმნიდით. და დღეს წარსულით სულდანილული ველარ ვიძინებ, ველარ ვიძინებ, ო, ღმერთო ჩემო, გაალხვე გული და თვალებიდან წამოინვიმე!

* * *


ბევრჯერ შევმუსრეთ მტერი მომხდური და სარკინოზთაც დავასხით რეტი, გარდა ორგულის, ავის, მოშურნის, სხვა რა გვინახავს ქართველებს მეტი. შენც გაბედულად შეები დამპყრობს და ნამებულის ირგე ტიარა, საერო ჭირმა და სატკივარმა, ყველამ შენს ზურგზე გადაიარა. ახლაც გვიტევენ, გვართმევენ მამულს, ხელში გვიჭირავს კვლავ რკინის კეტი, უსამართლობის, ბოროტის გარდა, სხვა რა გვინახავს ქართველებს მეტი. ციდან გვამხნევენ სული მამაცთა, მკვდრეთით აღმდგარი შენც ამას გვეტყვი, გარდა ხარბთა და ორპირ-ავკაცთა, სხვა რა გვინახავს ქართველებს მეტი.

ჯვარზე გაკრული

ჯვარზე გაკრული ნახე ვენახი, მწირს დასჭკნობოდა ყუნწზე მტევანი, სიზმარი იყო, თუ მოლანდება, სისხლში იდექი თავით ყელამდი. ჯვარზე გაკრული ნახე ქართველი, ცრემლი სდიოდა თვალთგან უშრეტად მარჯვენაში რომ სილას ურტყამდნენ, მარცხენა ლოყას მაინც უშვერდა. ჯვარზე გაკრული ნახე მამული, გამოფიტული, მიწა დაშლილი. ხალხი მწყურვალი, დაოსებული, ნერვდანყვეტილი, გრძნობააშლილი. ჯვარზე გაკრული ნახე ტაძარი, გმირის მახვილი, ჟანგით შეჭმული, სული უმანკო, ყრმა გონიერი სიყმანვილიდან დევნილ-გვემული. ჯვარზე გაკრული ნახე გელათი, მეფე ბაგრატი, დავით, თამარი, რამდენი სული ღმერთთან ზიარი თავზე მტვერით და ნაცრით ნაყარი. ჯვარზე გაკრული ნახე ვენახი, ყუნწზე მიმჭკნარი თოთო მტევანი, სიზმარი იყო თუ მოლანდება, სისხლში იდექი თავით ყელამდი.

დარჩება თბილისს ძველი დიდების ნიშნები აბანოთუბანი?

საქართველოში დიდი აუქციონია გაჩაღებული. იყიდება ყველა დიდებული და ძველი მონუმენტობა, 9 საუკუნოვანი თბილისი თანამედროვე საუნა-სასტუმროების ერთ დიდ ქალაქად იქმნება. არღარა რჩება მისგან „ნაშთი ძველი დიდებისა“ – პირწმინდად იღვებება ყველა კულტურული, ისტორიული, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულება. ასეთ ვითარებაში სულაც არ გვიკვირს, რომ ისტორიული პიპოდრომის გაყიდვას შეძლო „ქართლი“ ხელისუფალნი აბანოთუბანსაც მიადგენ და ახლა „ჭრელი აბანოს“ სარეზანდო გაყიდვასაც ცდილობენ. ამათა ყოველგვარი პროტექტი. ისღა დაგვრჩენია სამხსოფრო საკითხად მაინც შეთავაზოთ ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდობას აბანოთუბნის წარმოშობისა და მოქმედების ისტორია **თეიმურაზ ბერიძის** „ძველი თბილისის სურათები“ მიხედვით:



„ქალაქის აბანოები გადალი ხეაღეთისათ...“

სეიდაბადის ჩრდილოეთით, ნავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ პატარა ლოკალურ ადგილს აბანოების უბანი ერქვა და მას ახლათ ასე ეძახის თბილისის ძველი მოსახლეობა. ქალაქის სახელის – ტფილისის წარმოშობის ლეგენდაც ხომ ამ ცხელ წყაროებთანაა დაკავშირებული.

ძველად თბილისში ჩამოსული მტერია თუ მოყვარე პირველად საქვეყნოდ განთქმულ თბილისურ გოგირდოვან აბანოებს მიაშურებდა ხოლმე. თბილისური აბანოების საქებრად სიტყვა არ დაუშურებია ჩვენში მყოფ, არც ერთ მოგ-

ზაურს. შვიდი აბანო, მერე როგორი?! თვით ურიების სამყოფელია! ყოველი კუთხე, როგორც სამოთხის რვა საფეხური, სხივთა მფენია. სდის ცხელი წყალი, სასწავლებრივ აღმოხეთქილი მინის გულიდან... აქებს თბილისურ აბანოებს XVIII საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი, ყარაბაღის სახანოს პირველი ვეზირი ვაგიფი ლექსში „თბილისი“;

XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის გუბერნიად იქცა, რუსეთიდან ირანში თუ თურქეთში დიპლომატიური მისიით წარგზავნილი გზად თბილისში ჩერდებოდნენ. თბილისი ხშირად მასპინძლობდა, როგორც რუს, ისე რუსეთისაკენ მიმავალ მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ელჩებს.


თბილისის აბანოების მშვენიერი აღწერა დაგვიტოვეს 1811-1812 წლებში ირანს წარგზავნილი რუსეთის დიპლომატმა ვილჰელმ ფონ-ფრეიგანგმა და მისმა მეუღლემ ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგმა (დაბადებით კუდრიავესკაია).

აი, რას წერენ ისინი: „ტფილისის აბანოები საუცხოვოა. ცხელი წყალი გადმოსჩქეფს კლდიდან თვით აუზებში... ქალაქ გარეთ (ნაგულისხმევია სეიდაბადის უბანი, სადაც აბანოების უმრავლესობა იყო, თ.ბ.) ათ აბანომდეა და ისინი შეადგენენ ერთგვარ გარეუბანს. წყალი მაღალი და დაბალი ტემპერატურისაა...“

აბანოები მოწყობილია გამოქვაბულებში. პირველად შედიხარ თაღებიან ბნელ დარბაზში, რომელსაც რამდენიმე ლამპონი მკრთალი შუქით ანათებს. იქ დგას ორი ტახტი, ხალიჩებგადაფარებული. ტახტზე სურვილისამებრ გაშლიან ქვეშაგებს, რომელზედაც ისვენებ რამდენიმე ხნით, რომ მოემზადო საბანაოდ. ორი-სამი თაღებიანი დარბაზის გავლის შემდეგ შედიხარ აბანოში და ეშვები აუზში, რომელიც დაუყოვნებლივ ივსება წყლით ონკანის საშუალებით, აუზი ყველაზე უფრო ცხელი წყლით უკანასკნელ თაღებიან შენობაშია, აუზი, ისევე, როგორ კიბე, რომლის საშუალებითაც ამ აუზში ჩადიხარ, ამოკვეთილია კლდეში...

ქართველები, განსაკუთრებით კი დიდებული ქართველი ქალები კვირაში ერთხელ მთელ დღეს და ხშირად საღამოსაც აბანოში ატარებენ. პირველ თაღებიან შენობაში ისინი ნებივრად წამოწევიან ტახტზე და თმას და ფრჩხილებს იღებავენ, მოხუც ქართველ ქალებსაც თმის მუდმივი შეღებვის გამო ნაწნავები გიშპრევით შავი აქვთ. იქ ისინი ისვამენ პირისახეზე ფერუმარილს, ცდილობენ, შეღებონ და შეაერთონ წარბების ისრები და სხვა. უამისოდ აქ სიღამაზე წარმოუდგენელია. ეს დიდი დღეა მათთვის, დღე ტკივილისა და სიხარულისა“.

ძველი თბილისის აბანოები ეკუთვნოდათ კერძო პირებს – ერეკლე მეფეს, თბილელს, ორბელიანებს, სუმბათაშვილებს, მელიქიშვილებს და სხვ. აქედან გამომდინარე, თითოეულ აბანოს თავისი მფლობელის სახელი ერქვა.



თბილისის აბანოებს ჩვენში ჩამოსული დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინიც მოუხიბლავს.

ბანაობა ხშირად მთავრდებოდა ნახემსებით „აზიურად“. იქვე, აუზთან, იშლებოდა პურ-მარილი. მეზობელი დუქნიდან მოდიოდა ცხელი ცხელი ლულა-ქაბაბი, მწვადი, ლავაში და კარგი კახური ღვინო. ცხელი აბანოსა და მექისის ლაზათიანი დაზღვის შემდეგ ასეთი სახელდახელოდ ნახემსება უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანს. ზოგჯერ ოჯახში, ანდა ბაღში დანყებული ქეიფი აბანოში მთავრდებოდა.

გარდა ამისა, თბილისის აბანო ასრულებდა საკრებულოს თუ კლუბის როლს.

აბანოებში განსაკუთრებით ქალები ერთობოდნენ. ქალთათვის აბანოში წასასვლელი დღე სამშაბათი იყო. ამიტომაც თბილისის ერთ-ერთ აბანოს, სიონისას, „სამშაბათისა“ ეწოდა. აბანოში ქალები მთელ დღეს ატარებდნენ. აქ არჩევდნენ და სინჯავდნენ სარძლოებს. ქორწილის წინა დღესაც პატარძალი თავისი ახლობელი მეგობარ გოგონებისა და ნათესავი ქალების თანხლებით, აქ, აბანოში მოდიოდა და პატარძლის პატივსაცემად მოწვეული მოცეკვავე ქალები – მოთარაბები – მას ცეკვით ართობდნენ.

ქალები აბანოში ყველაზე ძვირფას ტანსაცმელს ატარებდნენ, თან მიჰქონდათ ბოლჩაში გამოხვეული სარეცხი. აქვე გაიგონებდით ქალაქის ყოველდღიურ ამბებს – მართალსა თუ ჭორს. აბანოში ჩნდებოდა ქართველ ქალთა კოსმეტიკური ნიჭი.

თბილისის აბანოები საქვეყნოდ იყო განთქმული. ქართველი ხალხი აქებდა და ადიდებდა მათ:

... ნეტავ ქება როგორ ითქმის ამ თბილის-ქალაქისათ?

ქალაქის აბანოები ბადალი ხმელეთისათო! ოთახები ააშენეს, ნათალი არის ქვისათო, ფანჯრები დაატანეს საყურებელი მზისათო, შიგ წყარო ამოიყვანეს, ის არის კრამიტისათო, ქალაქის ხალხი გამოდის როგორც ფურცელი ხისათო, ქალი და რძალი ლამაზი, როგორც ვარსკვლავი ცისათო...“



მამა კონსტანტინემ ზვიად გამსახურდიას პანაშვიდი გადაუხადა

ქაშვეთის ეკლესიის მღვდელმა მამა კონსტანტინემ (კოლუაშვილმა) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

პანაშვიდს, ქაშვეთის ეკლესიაში დაესწრნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრები და ზვიად გამსახურდიას უფროსი შვილი კონსტანტინე გამსახურდია, აგრეთვე საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ვისი ზეგავლენით თქვა უარი კათოლიკოს-პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში პრეზიდენტ გამსახურდიას დაკრძალვაზე



პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივის ქ-ნ მანანა არჩვადის დაჟინებული თხოვნით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, თითქმის მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის სამების საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალვის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ზვიად გამსახურდიას ზოგიერთმა თანამებრძოლმა ვიცოდით, რომ სამების ტაძრის ელიას მთაზე აგების იდეა და უდიდესი სურვილი დისიდენტობაშივე გააჩნდა ზვიადის და მე, ამის შესახებ, გაზეთ „პრეზიდენტისთვის“ მიცემული ინტერვიუთაც ვაუწყებ ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას (იხ. №5, 29 ნოემბერი-12 დეკემბერი, 2004), – პირადად მაინც არ ვინახებდი სამების ეზოში მისი დაკრძალვის გადაწყვეტილებას.

ჩემი უარყოფითი პოზიცია გამოვხატე ქ-ნ მანანას სახლში დარეკვითაც. დაფურეკე, აგრეთვე „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამკრძალავ სახელმწიფო კომისიის“ წევრს ეკა ხერხეულიძესაც.

ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობა მოტივირებული იყო შევარდნაძის ფაქტორით, რომლის სახელმწიფო მეთაურობის დროსაც დაიწყო სამების ტაძრის მშენებლობა და რომელსაც პატრიარქმა საძირკვლის ჩასხმის პროცესშივე აღუთქვა, რომ გარდაცვალების შემთხვევაში, ამ ტაძარში დაკრძალავდა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის გადაწყვეტილების თანადროულად, საპატრიარქოს მხრიდან, აქცენტები ზემოხსენებულ წინაპირობაზეც კეთდებოდა, რითაც, სამომავლოდ, საფუძველი ეყრებოდა დიდ ისტორიულ უსამართლობას; – საქართველოსთვის თავგანწირული გმირი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მსგავსად, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის განსპეტაკებულ ადგილას დასაფლავების თანაბარი პატივი უნდა რგებოდა საქართველოს დამანგრე-

ველსა და მტერს, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის განმკარგულებელს (დამკვეთი რუსეთი იყო) ედუარდ-ბოროტს (შევარდნაძეს).

ამგვარი ცინიზმისა და უხერხულობის თავიდან აცილების, თითქოს არავითარი პერსპექტივა არ ჩანდა, რომ არა ერთი სატელეფონო ზარი, რომელიც იმ ცხარე აჟიოტაჟის დროს დაირეკა ჩემთან. იგი, ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლ დისიდენტს და მრავალგზის პოლიტპატიმარს ვალენტინა ფაილოძეს ეკუთვნოდა.

ვალენტინა ფაილოძე, რიგი დისიდენტების მსგავსად, 1980-იანი წლების მიწურულიდან მტრად იყო მოკიდებული ზვიადს და დღემდეც ამგვარ განწყობას ინარჩუნებს.

ჩემთან სატელეფონო საუბარში მან უკიდურესი აღშფოთება გამოთქვა ზვიადის სამებაში დარკძალვასთან დაკავშირებით: – ლეილა, თქვენ გინდათ, როგორც „ნამებული და წმინდანი“ ისე დაკრძალვით იგი სამებაში? – აგრესიით ჩამეკითხა და უმალ მივხვდი, როგორ უნდა მესაუბრა მასთან, ანუ, როგორ გამომეყენებინა მისი „კოზირი“ ამ უსაშველო ვითარებაში.

– დიახ, სწორედ სამებაში უნდა დაიკრძალოს და უახლოეს მომავალში წმინდანადაც შეირაცხოს. სწორედ, სამებაში!..

– ვერ ეღირსებით, ვერასოდეს!

– ველირსებით და თქვენც მალე გახდებით ამის მოწმე!

– ვნახოთ! ახლავე დაფურეკავ პატრიარქს და მივალ კიდეც! ერთი გაბედოს და დაკრძალოს!..

ამგვარი ქადილით ვალენტინამ ყურმილი დამიხეთქა და მე მყისიერად გამიჩნდა იმედი, რომ ვალენტინას სიძულვილი, ამჯერად ნამდვილად სასიკეთოდ წაგვადგებოდა.

ვალენტინა ფაილოძე გახლდათ სიონის ეკლესიის მგალობელთა გუნდის

ხელმძღვანელი 1960-70-იან წლებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ეკლესიური სინდინდეების დაცვაში, რასთან დაკავშირებითაც ხშირი დაპირისპირებები უწევდა პატრიარქებთან. კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-საც მასთან დაძაბული ურთიერთობების მრავალწლიანი ბატალიები აქვს გამოვლილი, ზედმინევით ზუსტად იცნობს მის საბრძოლო პოტენციალს. ამის გათვალისწინებით, დაბრძენებული და ასაკით დამძიმებული პატრიარქი, დღესაც არამც და არამც არ ინებებდა სახიფათო დაპირისპირების განახლებას ვალენტინა ფაილოძესთან. ფაქტია, რომ ჩემთან ვალენტინას სატელეფონო შეხლა-შემოხლისა და ქადილის შემდგომ, მესამე დღეს, კათოლიკოს-პატრიარქმა, თავისი წარმომადგენლის პირით დიპლომატიურად თქვა უარი სამების საკათედრო ტაძრის ეზოს, ამ ეტაპზე, სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონად გადაქცევის თაობაზე.

ალბათ, აქვეა საჭირო, ორიოდ სიტყვით გავარკვიოთ მკითხველი ფაილოძის სიძულვილის მიზეზში ზვიადის მიმართ; ვალენტინას აგრესია და სიძულვილი მოტივირებულია პირველობის ამბიციით, იგი თვლიდა და დღესაც თვლის, რომ პირველმა მან დაიწყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ზვიადი და მერაბი კი მხოლოდ თავისი მოწაფეები, მიმდევრები იყვნენ, რის საქვეყნო აღიარებასაც მოითხოვს იგი ჩვენგან.

მას უდავოდ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ეკლესიის დაცვა-აღორძინებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მაგრამ მისი წვლილი, არც უახლოვდება და, მითუმეტეს, არ აღემატება ზვიად გამსახურდიას წვლილს. ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა და კამათს არ ექვემდებარება.

ლეილა ცომაია

დიდი მამულიშვილების მოხსენიება მთაწმიდის პანთეონში

მთაწმიდის პანთეონში მამა დავითის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა ბასილ კიკვაძემ დიდი ქართველი მამულიშვილების: ალექსანდრე სულხანიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს ენსრებოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. პანაშვიდს, აგრეთვე დაესწრო 1992 წლიდან იძულებით პენსიაში გაშვებული მეუფე ამბროსი (ქათამაძე), რომელსაც საქართველოს საპატრიარქოდან ამგვარი სასჯელი დაედო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ეროვნული ხელისუფლებისადმი აქტიური თანადგომისათვის (იხ. მე-2 სურათზე მარცხნიდან პირველი).

პანაშვიდი შედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უხუცესი წარმომადგენლისა და მამა დავითის ეკლესიის მრევლის ბატონ გივი კვირიკაძის მდაბალი და მოკრძალებული თხოვნით.



მეწიერება, განათლება

დისტანციური სწავლების ახალი მეთოდი

რა არის იგი? – (ინტერვიუ რუსეთ-საქართველოს უნივერსიტეტის რექტორ გელა ნიკურაძესთან)

საქართველოში 2003 წელს გახსნილ რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში დანერგილი სწავლების ახალი მეთოდი ნოვაციამ, როგორც პოსტსაბჭოური რესპუბლიკების განათლების სისტემაში, ასევე ევროპის სახელმწიფოს განათლების სისტემაშიც.

ჩვენ დავინტერესდით ამ მეთოდის თავისებურებებით და ინტერვიუ ვთხოვეთ ზემოხსენებული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ბატონ გელა ნიკურაძეს.

– ბატონო გელა, რა სწავლების მეთოდია ეს და რა უპირატესობა გააჩნია მას ტრადიციულ სწავლების მეთოდებთან? როგორია მისი რეფორმატორული პროგრამა?

– ეს არის სწავლება დისტანციური მეთოდით – „ონლაინი“, რომელიც, ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტშია დანერგილი. აი, როგორია იგი – სპეციალური ანტენის „ისოტის“ საშუალებით ჩვენ ვღებულობთ სიგნალს, რომელიც ძლიერდება და ამ გზით გადაეცემა ეკრანს, რომლის საშუალებით სტუდენტები ისმენენ ლექციას, ანუ არ არსებობს ტრადიციული უშუალო კონტაქტი სტუდენტსა და ლექტორს შორის. თუ სტუდენტს ლექციის მოსმენის პროცესში დაეხმება კითხვა, ინტერნეტით უსვამენ ლექტორს, რომელიც მას პირდაპირ ეთერში პასუხობს. ყოველი ლექცია პარალელურად ინერება კომპიუტერში. საერთოდ, განათლების ქვოტის მიხედვით 15-კაცზე ერთი კომპიუტერია განსაზღვრული, ჩვენთან კი 3 კაცზე ერთი. სტუდენტები ისმენენ ლექციებსა და პასუხებსაც და ინერენ დისკეტაზე, ამუშავებენ მას და ყოველი თვის ბოლოს აბარებენ ჩათვლებს. საგანი იყოფა 5-6 ნაწილად და აბარებენ სემესტრის პერიოდში, საბოლოოდ კი გამოცდას აბარებენ კომპიუტერს, რომელიც წერს ნიშანს.

თუ სტუდენტმა კარგად ვერ გაიგო ლექცია, ასეთ შემთხვევაში ვინვეთ კონსულტანტებს, რომლებიც დამატებით უხსნიან სტუდენტებს ლექციას, ასევე დამატებით ვაძლევთ შესაბამის ლიტერატურასაც დაბეჭდილი ლექციის სახით, უსასყიდლოდ. ჩვენი უნივერსიტეტის ცენტრი არის მოსკოვში, სადაც რექტორი არის ეროვნებით ლიტველი კარპენკო მიხეილ პეტრეს ძე, რომელსაც ძალიან სურდა, რომ საქართველოში გაეხსნა ასეთი უნივერსიტეტი. ჩვენი უნივერსიტეტი არაკომერციულია და არა სახელმწიფოებრივია, მაგრამ იძლე-

ვა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტი დებს საგანმანათლებლო ხიდს რუსეთს-საქართველოს შორის.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა დიდმა ეროვნულმა მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა განათლება მიიღეს რუსეთში. კარპენკომ 1992 წელს კემბრიჯიდან წამოიღო სწავლების ეს სისტემა და დანერგა იგი 15 ქვეყანაში. ამჟამად მას ორას ორმოცდაათი ათასი სტუდენტი ჰყავს ყოფილი სსრკ-



სა და ევროპის ქვეყნებში. ჩემი მიზანია საქართველოს ჰყავდეს საკუთარი სპეციალისტები. სწავლა არის ძალიან რთული, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. სწავლების ამ სისტემის დანერგვა შეიძლება საქართველოს ციხეებშიც. ანუ პატიმარს კომპიუტერისა და ტელევიზორის საშუალებით შეუძლია ჩააბაროს გამოცდა არჩეულ სპეციალობაზე და ლექციები მოისმინოს. ჩვენთან უშუალო კონტაქტი ლექტორსა და სტუდენტს შორის ხდება კომპიუტერისა და ტელეეკრანის საშუალებით. იყო სურვილი პირდაპირ მოსკოვიდან ამგვარი უნივერსიტეტი გახსნილიყო სოხუმსა და ცხინვალშიც, მაგრამ ჩემი პროტესტის შემდეგ ბატონმა კარპენკომ არ მისცა მათ თანხმობა უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე და მათ წინადადება მისცა მოემართა ჩვენთვის თბილისში. მინდა გითხრათ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იმდენად კეთილმეგობრულადაა ჩვენს მიმართ განწყობილი, რომ ისინი მოსკოვის ქუჩებზე დადიან მკერდზე წარწერით „Я Грузин“, რითაც პროტესტს უცხადებენ რუსეთის პოლიტიკას ქართველების მიმართ, ჩვენთან არის 6 ფაკულტეტი: იურიდიული,

მენეჯმენტი, ფსიქოლოგია, გამოთვლითი ტექნიკა და ლინგვისტიკა. ჩვენ დაწესებული გვაქვს 50%-იანი შეღავათები საინგილოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონტინგენტის მიმართ. ჩვენ დიპლომთან ერთად სტუდენტებს ვაძლევთ ჩანაწარს, სერტიფიკატს, რომელიც გადის 38 ქვეყანაში, რითაც მათ შეუძლიათ იმუშაონ საზღვარგარეთის ქვეყნებში. ჩვენთან სპეციალობებს სტუდენტი ირჩევს არა პირდაპირ პირველი კურსიდან, როგორც დანარჩენ სასწავლებლებში. არამედ მხოლოდ მესამე კურსიდან, რათა კარგად მომზადებული და გათვითცნობიერებულმა აირჩიოს იგი. სწავლება 4-წლიანია. წელს ჩვენ პირველი გამოშვება გვაქვს, 19 სტუდენტიდან კი მხოლოდ 5 დაიცავს დიპლომს. სწავლის სირთულის გამო დანარჩენმა ვერ შეძლო დამთავრება. ჩვენი უცხოენოვანი სტუდენტები ჩვენთან ეუფლებიან ქართულ ენას და იმდენად შევავყვარეთ, ჩვენი კლასიკოსები, რომ მათ თვითონ გამოთქვენ სურვილი წაგვეყვანა ისინი ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმში ჩარგალში, სადაც ქურთმა სტუდენტმა ზეპირად წაიკითხა ვაჟა-ფშაველას ლექსები ქართულ ენაზე. ხოლო რუსეთში მოქმედ ჩვენს უნივერსიტეტში 12 სტუდენტმა მეორე ენად აირჩია ქართული

და ისინი უკვე შესანიშნავად ფლობენ ჩვენს ენას. მათ იქ ასწავლის ჩემი მეგობარი როინ კონჯარია. იქ სტუდენტი დედანში ისმენენ რუსთაველს, გალაკტიონს, მუხრან მაჭავარიანს და სხვას. სტუდენტებს აგრეთვე ძალიან აინტერესებთ ყველაფერი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შესახებ; როინ კონჯარია რუს სტუდენტებს ზვიად გამსახურდიას აცნობს. ზვიადს, „სულიერი მისიის“ მიხედვით. ჩვენი უნივერსიტეტის კედლებს ამშვენებს ზვიად გამსახურდიას, ლევ ტოლსტოის, მაჭავარიანის და სხვა ქართველი კლასიკოსების სურათები და როცა ჩვენთან მოდიან რუსეთის საელჩოდან, მეკითხებიან: რა შუაშია ზვიად გამსახურდია?“ მე მათ ვუხსნი, თუ როგორ პატივს სცემდა და აფასებდა ჩვენი განსწავლული პრეზიდენტი ლევ ტოლსტოის. მომაქვს ციტატები ზვიად გამსახურდიას წერილებიდან ლევ ტოლსტოის შესახებ, რითაც გაკვირვებული და კმაყოფილი რჩებიან.

– გმადლობთ ბატონ გელა ამომწურავი ინფორმაციისათვის და წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა ქეთევან ჭანტურია

„სახელმწიფო მხარდახმარება“



კითხვაზე – მოკლეს, თუ თავი მოიკლა დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ – პასუხი ცალსახაა: იგი მოკლეს!

ერთ-ერთმა პოლიტპატიმარმა, როცა იგი ციხის საავადმყოფოში მოვიდა (ეს იყო ზუგდიდის კომენდანტი 1993 წელს ბადრი ზარანდია), დიდი მღელვარებით გამანდო, რომ მისი ოჯახის წევრების (შვილის, ცოლის, დების) ამოწყვეტით მუქარით მას პირობა დაადებინეს, შეესრულებინა ხელისუფლების დავალება. „მაგრამ ბატონ ზვიადს შეეუთვალე, ჩემს დაძახებაზე არ გამოხვიდეთ“. ამით დაასრულა ბადრიმ თავისი აღსარება. ჩემშიც, როგორც ათასობით სხვაშიც ეჭვს არ ბადებს ის აზრი, რომ ზვიადი მოკლეს, მაგრამ მისი მკვლელობა თვითმკვლელობად შეინიღებს და თან „ცოცხალია“ ფარული ხმების გავრცელებით (რაც, სხვათაშორის, ბოლო დრომდე, პრეზიდენტის ქვრივიდანაც მოდიოდა) ხალხის მწუხარება მოადუნეს. ხალხისა, რომელსაც თავისი სათაყვანებელი პრეზიდენტის სიცოცხლე ისე სურდა, რომ ეს იმედიანი სიცრუე დაიჯერა.

შევარდნაძეს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაკრძალვის ისე ემინოდა, როგორც მისი სიცოცხლის. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს მერაბ კიკნაძეს, გროზოდან ჩამოყვანილი თვითმფრინავიდან ტრაპზეც კი არ დაადგმევინეს ფეხი. უფრო მეტიც, უკან გაფრენისათვის საჭირო საწვავის ფული მასვე გადაახდევინეს.

ხალხის გლოვა შევარდნაძისდროინდელ თბილისს არ უნდა დასტყობოდა, თუმცა კოლხური კოშკისაკენ მიმავალ გზაზე პრეზიდენტის მწუხარე თაყვანისმცემელთა ნაკადი არ წყდებოდა. გვექონდა მცდელობა პარლამენტის შენობის წინ 3-დღიანი სამგლოვიარო მიტინგის გამართვისა, მაგრამ შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ პარლამენტთან ტანკებისა და შეიარაღებული ძალების ჩაყენებით ამის საშუალება არ მოგვცა. ორგანიზატორები დაგვაკავეს.

14-წლიანი დევნილობის შემდგომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წმინდა ნეშტი სამშობლოში დაბრუნდა. მამულთან შეხვედრის ღრმა განცდა უსათუოდ აისახება ხელოვნებაში, მხატვრობაში და მწერლობაშიც.

ზვიად გამსახურდიამ, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმდგენელმა, თავისი მაგალითით ერთი გააღვიძა ათეიზმით ამოძირკვეული ქრისტიანული რწმენა და ეკლესიას მრევლი მოუმრავლა. თავად, როგორც განმათავისუფლებელი მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. იგი აგრძელებდა დამოუკიდებელი საქართველოს ტრადიციებს. მან ხიდი გასდო ჩვენი სახელოვანი წარსულის ზნეობასთან: ხალხი მამულიშვილად აქცია, საქართველო – საფიცრად.

ამადაც ეწოდა ზვიად გამსახურდიას იდეურ მიმდევრებსა თუ თანამოაზრეებს „ზვიადისტი“ დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვების შესაბამისად: „სახელი შენი ეწოდოს ერსა შენსა“. რაიც

კრებითად აერთიანებს ყველა იდეურ და სულიერ ფასეულობებს.

ლია ანდლუაძე

ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი ფოტო

თუმცა დღემდე არ არის დადგენილი წინამდებარე ფოტოსურათის გადაღების ზუსტი თარიღი



– თვე და კონკრეტული რიცხვი, მაგრამ ვიცი, რომ იგი 1993 წლის უკანასკნელ თვეებს, ანუ პრეზიდენტის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნება.

კარგად დააკვირდით ამ ფოტოს, რომელზეც ღრმად და შთამბეჭდავად ასახული: ღალატით, ორგულობით, ფარისევლობითა და ქვეზღნობით გატანჯული პრეზიდენტის უკიდვარო მწუხარება, ტკივილი და ურვა. გულში ჩაიბეჭდეთ ეს ფოტო, რათა სინანულით შევსოხოდეთ: „შეგვინდეთ ბატონო ზვიად!“

ზოკლუ ისტორიული საზახსოვრო, ცნობარი

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, იმპერიალისტური რუსეთის მიერ დაგეგმილ-დაფინანსებული პუტჩი დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერს. მას შემდეგ, რაც ბატონმა ზვიადმა პრინციპული და მტკიცე უარით უპასუხა რუ-

სეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს საქართველოს რესპუბლიკის CH1-ში განწევრიანებაზე.

ორკვირიანი თავდაცვითი ბრძოლების შედეგად, ძმათაშორის სისხლისღვრის შეწყვეტის მიზნით, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ქრისტეშობის წინა დღეს – 1992 წლის 6 იანვარს – მიიღო მთავრობის სასახლის დატოვების გადაწყვეტილება; მან საკუთარ ოჯახთან და მთავრობის წევრებთან ერთად, ჯავშან-ტრანსპორტიორებით თავი მეზობელ სომხეთს შეაფარა. ზვიად გამსახურდიას იმედი ჰქონდა, რომ მასავით დისიდენტური ბიოგრაფიის მქონე სომხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი საიმედოდ შეიფარებდა, მაგრამ მოტყუდა.

1992 წლის 13 იანვარს სომხეთში ჩავიდა საქართველოს სამხედრო საბჭოს (სიგუა-იოსელიანი-კიტოვანი-ყარყარაშვილი-რაზმაძე) მიერ წარგზავნილი დელეგაცია 5 კაცის შემადგენლობით.

1. ელდარ შენგელაია – დელეგაციის ხელმძღვანელი
2. ჭაბუა ამირეჯიბი – მწერალი
3. გრიგოლ ლორთქიფანიძე – პროფესორი
4. გიორგი ხაინდრავა – დოკუმენტალისტი
5. ვახტანგ კიკაბიძე – მომღერალი
6. რევაზ ყიფიანი – ქალაქის პროკურორი

დელეგაციის წარმომადგენლები შეხვედნენ სომხეთის პრეზიდენტს ლევონ ტერ პეტროსიანსა და პარლამენტის თავმჯდომარეს ბაბკენ არარკციანს, რომლებსაც ქართველმა დელეგატებმა წაუყენეს ულტიმატუმი-მოთხოვნა ზვიად გამსახურდიას გადმოცემის შესახებ (ცნობისათვის: დევილ პრეზიდენტს 6 იანვარს სომხეთამდე გზაზე დასაჭერად გაეკიდნენ: გიორგი შენგელაია, ვახტანგ კიკაბიძე, გიორგი ხაინდრავა). ზემოხსენებული ულტიმატუმის შედეგად პეტროსიანმა ზვიად გამსახურდიას სომხეთის დატოვების წინადადება მისცა. ზვიად გამსახურდია ტელეფონით დაუკავშირდა იჩქერიის პრეზიდენტს ჯოხარ დუდაევს და გააცნო საქმის ვითარება. დუდაევმა იჩქერიიდან გამოყო სპეციალური თვითმფრინავი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მისი დევნილი გარემოცვის იჩქერიის გადასაფრენად.

ზვიად გამსახურდია თავს აფარებდა იჩქერიას 1992 წლის 15 იანვრიდან 1993 წლის 24 სექტემბრამდე, ხოლო ამ დღეს იგი დაბრუნდა დასავლეთ საქართველოში.

1992 წლის 7 მარტს ედვარდ შევარდნაძე მოსკოვიდან ჩამოიყვანეს: ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა და ჟურნალისტმა ვალერი კვარაცხელიამ. 7 მარტს შევარდნაძეს თბილისის აეროპორტში დახვდნენ: სოფიკო ჭიაურელი, გიგა ლორთქიფანიძე, კოტე მახარაძე, გოგა ხაინდრავა, ოთარ მეღვინეთუხუცესი, მერაბ კოკოჩაშვილი, გოგი ქავთარაძე, რეზო ჩხეიძე, გრიგოლ ონიანი, ნოდარ ლომოური, ლევან სანიკიძე, რომან გვენცაძე, ვაჟა ადამია, გია ჭანტურია, თენგიზ ეპიტაშვილი, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, ელდარ შენგელაია, ავთანდილ მარგანი, ჯანსუღ ჩარკვიანი.

1993 წლის 24 სექტემბერს სოხუმის გადასარჩენად იჩქერიიდან ჩამოსულ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ გახსნა სრული ფრონტი. 18 ოქტომბერს, ქუთაისის მერის თემურ შაშიაშვილის ისტერიული მოთხოვნით (არიქა, ზვიად გამსახურდია ქუთაისში შემოდისო!), ჯაბა იოსელიანი, რომელსაც შევარდნაძემ იმ ე.წ. ექსტრემალურ ვითარებაში გადასცა სრული უფლებამოსილება, შევიდა ქუთაისში კბილებამდე შეიარაღებული ჯარით და ტექნიკით და 7 ნოემბერს დაასრულა ბრძოლები ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, განდევნა იგი და მისი გვარდია დასავლეთ საქართველოდან.

7 ნოემბერს ედუარდ შევარდნაძე და შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირიაა ჩავიდნენ სამეგრელოში. იმ დღეს, ზუგდიდის ცენტრში, „ზვიადისტობის“ ბრალდებით კვირიაამ საკუთარი ხელით დახვრიტა 7 ახალგაზრდა, რისთვისაც მას შევარდნაძემ გენერლობა უბოძა.

„არარაისგან არ იქნების არარაიცა“, ანუ ვიქტორ რცხილაძის „გამსახურდიას მოკლენის“ გამო

ამ ამბავზე ნაწილობრივ გამო, რომლის წაკითხვისას თავი შეგძულდება ადამიანს და ამავე დროს გულს გატაცება და უიმედობაც გეუფლება, რომ ქვეყანაზე არსებობენ ასეთი უმეცარი და მდაბალი არსებები, თავიანთ თავს კაცებს რომ უწოდებენ და ამ ე.წ. კაცების თუ კაცის ნაწილობრივ-სიბინძურე წიგნად იწოდება.

ერთი უსმინეთ ამ თავცარიელ ბინძურებს: „მაშინ ძალზე დიდი ჯგუფი ქალებისა ცდილობდა ზვიადისაგან განაყოფიერებას, მაგრამ ტექნიკურად ვერ გამოუვიდათ“. თავი დავანებოთ იმას, რა ქართულით, რა ავლაბაჯლა, ჩიქორთული წინადადებებით არის აგებული ეს ე.წ. წიგნი თუნდაც მოხმობილი ეს წინადადება, თავი დავანებოთ იმ ბოლმას, რომლითაც ასე იწერება რალაც „ნანარმოები“, შეიძლება განა კაცი, მამაკაცი წერდეს ასე? არამცდარამც; ასე შეიძლება წერდეს მხოლოდამხოლოდ დედაკაცი, ქალი, რომელიც ხელიდან ხელში გადადის, ამის დამწერ კაცს ეტყობა, კაცობაში ძალიან უჭირს, ბოლმისაგან რომ გასივებულია, ამას ხომ მტკიცებაც არ უნდა და, კაცობაში რომ ძალიან უჭირს, ამაზე ცოტა ადრე სხვებზე წერდნენ.

წარმოდგინეთ, იმ აზვირითებული ეროვნული მოძრაობის ჟამს, როცა ქალი თუ კაცი ბედნიერებისაგან ლამის ცად მალდებოდა, იმ მშვენიერი იდეით – ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეით შეპყრობილთა შორის თურმე არსებობდა „დიდი ჯგუფი ქალებისა“, რომელნიც თურმე, აღარ მინდა გავიმეორო ის ბინძური აზრი, ზვიადს როგორც მამაკაცს ისე აღიქვამდნენ და სხვაგვარი კავშირიც კი წარმოედგინათ მასთან... და ამ დროს თავისით მოზღვავედა შექსპირის სიტყვების პერიფრაზი: არარაობავ, ვიქტორ რცხილაძე უნდა გერქვას შენ. მაინტერესებს, ქალთა ამ დიდი ჯგუფიდან ვინმე გაენდო მას, ასეთი რამ მნადიაო? იქნებ



წუხდნენ კიდეც, „ტექნიკურად არ გამოდის“ ჩვენი ჩანაფიქრო? ღმერთმა მაპატიოს, ამ ბინძური კაცუნების ნაღრძობი ტვირის წაყოფი, ეს ნაბოღვარი რომ გავიმეორო.

კაცებს, კაცებს რომ უყვარდათ ზვიადი, ამაზე რაღას იტყვიან ბინძურებო? თქვენი გულის გასახეთქად. ზვიადი მთელ საქართველოს უყვარდა და უყვარს და, ბრალი იმას, ვისაც ასეთი სიყვარულის გაბინძურება გადაუწყვეტია.

ამ ბინძურებს ვილაც ფიოდოროვის სიბილენე რომ წარმატებით გაუთავისებიათ, რუსთაველი, ვაჟა, ბარათაშვილი, სულხან-საბა, ჩვენი დიდი სხვა კლასიკოსები წაეკითხათ, იქნებ აღარც ამგვარი ბოლმისაგან დამხრჩვავი იყვნენ და აღარც სიბინძურეში ყოფილიყვნენ ყელამდე ჩაფლულნი.

„მსგავსი ყოველი მსგავსსა შობსო“, – ბრძანებს დიდი პოეტი. ჰოდა, ეს ბოლმით გაძეცილი ჩვენი „მწერალიც“ თავისნაირ მიქაბერიძე-შვანგირაძეს მიმართავს წარამარა და მისი ბინძური შაირებით გვანონებს თავს, – ხედავთ, რა მალაღმბაძვრულად ასახავსო იგი მაშინდელ რეალობას.

როცა ე.წ. კაცები ამდენ სიბინძურეს აფრქვევენ, ეს ყველაზე დიდი არგუმენტია ამგვარი კაცების სულიერი თუ ხორციელი ცვედნობისა.

ზვიად გამსახურდია მართლა რომ ისეთი დიქტატორი თუ ტირანი ყოფილიყო, როგორადაც ამ კაცუნებს სურთ დაგვიხატონ, ბედნიერება იქნებოდა, რადგან ამისთანებისაგან გაგვათავისუფლებდა. მაგრამ ვაი, რომ არ იყო!

თურმე, თავის დროზე, ამ დიდ „მწერალს“ თავის თანამოაზრებთან ერთად გენერალური პროკურატურისათვის მიუმართავს, არ დაუშვავთ ზ. გამსახურდიას რეაბილიტაციაო. ვაი, ჩვენს ყოფას, რომ ზვიადს ჯერ რეაბილიტაცია სჭირდება და მერე მისი რეაბილიტაციის უფლება თქვენ უნდა დართოთ, თურმე, პროკურატურას. ვიცინოთ თუ ვიტყვით, ბატონებო?

„გამსახურდიას გატაცებით უყვარდა პრეზიდენტის პოსტი, ვიდრე მისი ხალხი...“ ასეთი ქართულითაა სავსე ვ. რცხილაძის ეს ე.წ. ნანარმოები და მაგალითების მოსახმობად მისი გადმონერა მთლიანად დაგვჭირდებოდა. თუმცა, ქართულის არცოდნა ამ შემთხვევაში, ნაკლები უბედურებაა, დიდი უბედურება მისი პათოლოგიური ზიზღია, თანაც რომ სწაღია სხვებსაც გადასდოს ეს ზიზღი ზვიადისა, რაც ვგონებ, შეუძლებელია.

აგერ, ოთარ ნაჭყებია გვიყვება, წყლის დასალევად დახრილი კაცისათვის დანა რომ ჩაურტყამს ამ კაცუნას და თუნდაც ამის შემდეგ, შეიძლება მასზე ლაპარაკი? როცა ცდილობ ღირსეული კაცი ბინძურ ადამიანად წარმოაჩინო, უნდა ხვდებოდე, რასაკვირველია, თუ ჭკუა გაქვს, რომ შენსავე უდღეურ პიროვნებას ამიშვლებ და ხალხს აცნობ...
თუმცა, როდემდე და რა შეიძლება ამ არსებას ელაპარაკო. ისევ შექსპირი მასწენდება: „არარაისგან არ იქნების არარაიცა“.

ბელა შალვაშვილი

ჩვენი ფოსტა

არავინ იცის, რა ცეცხლი ენთო ზვიადის გულში...

არავისა აქვს უფლება თავისი თავი დააყენოს ცოტნე და გიორგი გამსახურდიების და მანანა არჩვაძის წინ, ბრძანა ამ დღეებში მანანა არჩვაძემ. რა განცხადებაა ეს განცხადება და, სხვაც რომ არა ვთქვათ, რატომ არა აქვს კონსტანტინე გამსახურდიას იმის უფლება, მანანა არჩვაძეზე წინ დაიყენოს თავი, როცა ზვიადის ცხედრის პატრონობას ეხება საქმე? რატომ ავიწყდება მანანა არჩვაძეს, რომ კონსტანტინე გამსახურდია ზვიადის უფროსი ძეა? რატომ აძლევს თავის თავს მანანა არჩვაძე ამდენის უფლებას? ჩვენ ის გვაოცებს, რომ თავისი შვილები არაფერს ეუბნებიან დედას, უტაქტო და თავგასული განცხადებების გამო. არამც თუ კონსტანტინე გამსახურდიას, ათასობით ქართველსა აქვს უფლება მანანა არჩვაძეზე წინ დაიყენოს თავი, როცა ზვიადის სიყვარულსა და ერთგულებასაზე საუბარი.

ერთი ვერ გაიგო მანანა არჩვაძემ: ზვიადზე, როგორც ქმარზე, მას არავინ ეცილება, მაგრამ მის ერთგულებასა და სიყვარულში კი, როგორც მოგახსენეთ, ათასები შეეცილებიან. კონსტანტინე გამსახურდიას არ უნდა უყვარდეს თავისი დიდი მამა, უფროსი კი არა, უმცროსი შვილიც არ არისო, ასე სწაღია მანანა არჩვაძეს, ეს არის ამ ფერუმარტოში ამოვლებული ქალბატონის მიზანი.

ბევრი ავი დედინაცვლის ტიპი გაგვაცნო ზღაპარმა. მანანა არჩვაძე იმ ავ დედინაცვალზე ბევრად ავი, დაუნდობელი, გაუნონანსნორებელი, ყველას და ყველაფრის მოძულეა, ვინც კი მისას არ გაიზიარებს.

არავინ იცის, როგორ გახდა მანანა არჩვაძე ზვიადის მეუღლე, თუმცა ჩვენ ვცდებით, იცინან...

როცა მანანა არჩვაძემ ზვიადის ცოლობაზე თავი გადაიკლა, მან ხომ მშვენივრად იცოდა, რომ ზვიადს შვილი ჰყავდა? თუ ეგონა, თვითონ რომ შვილებს გაუჩენდა, ზვიადს უფროსი ვაჟი აღარ ეყვარებოდა, ან სულაც უარყოფდა?

როგორც კი მანანამ კოლხურ კოშკში დაიბუდა, ერთი წლის განმავლობაში ერთიანად მოიშორა ზვიადის ყველა ნათესავი. ეტყობა, რაღაც საქმიანობაში უშლიდნენ ისინი ხელს...

მანანა არჩვაძისათვის არ არსებობს რაიმე წმინდა და ადამიანური. მან უღმობლად აცემინა დიდი კონსტანტინეს დისშვილი, ცნობილი მსახიობი თათია ხაინდრავა, რომელიც ამ ცემის შემდეგ უკურნებელი სენით დაავადდა და გარდაიცვალა.

მხოლოდ იმიტომ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას დედასთან მეგობრობს, ასევე თმით ითრია და აჯანჯლარა ცნობილი მუსიკისმცოდნე, ზვიადისა და მერაბის ბავშვობის მეგობარი იუნონა აფაქიძე, რომელიც ამ ცემის შემდეგ დიდხანს მკურნალობდა.

ასე, ვინც თვალში არ მოსდის, ფიზიკურად უსწორდება.

ჩვენ გაცოცხლებული ვართ მანანა არჩვაძის საქციელებით, მაგრამ რატომ თვითონ არ დაფიქრდება, რომ დიდი კონსტანტინეს რძალსა და ზვიადის მეუღლეს არ ეკადრება ასე მოქცევა, ან რატომ თავისი შვილები არ შეაგონებენ? რახანია, საზოგადოებაში მის გამოჩენას უმაღლო ირონიული ღიმილი მოსდევს...

სხვადასხვა დროს, ჩვეულებრივი მოკვდავი, ჩვენი ორი მეგობრის ცოლებმა თავიანთი მეუღლეების უკანონო შვილებს ნამდვილი მამების ან თავიანთი ქმრების გვარებიც მისცეს და ოჯახში მიმოსვლის უფლებაც დართეს. აქ კი რა ხდება? მანანა არჩვაძე უღმერთოდ გადაჰკიდებია თავისი დიდებული მეუღლის ღირსეულ უფროს ძეს, აღარ იცის რითი და როგორ მოსცხოს ჩირქი ამ უნიჭიერეს ახალგაზრდა კაცს, დიდებული წიგნების ავტორს, ფრიად განსწავლულსა და განათლებულს, ბავშვობიდან რომ კოლხური კოშკის სიახლოვეს არ აკარებდა, ეს ხომ ცნობილია.

ხალხო, გაგვაგებინეთ, თუ ღმერთი გნამთ, შეიძლება ქალს მეუღლე უყვარდეს და მისი უფროსი ვაჟი კი სძულდეს? აქედანაც არ ჩანს ამ

ქალის არაადამიანობა? შეიძლება ზვიადის მეუღლეს სძულდეს ვინმე, საერთოდ? მით უფრო მეუღლის უფროსი ძე და ბოლოს და ბოლოს, თუკი ამ სიძულვილისაგან ვერ გათავისუფლებულა, იმისი ჭკუა და ტაქტი მაინც ჰქონდეს, რომ დაფაროს ეს სიძულვილი.

ცოტნესა და გიორგის მოვეუწოდებთ, შეაჩერონ თავიანთი დედა, თორემ ეჭვი ებადება ყველას, რომ ეს ქალი ასე აღვირახსნილად სწორედ ზვიადის კომპრომეტირებისათვის ირჯება.

ხედავთ თუ არა, რამხელა სირთულეები შექმნა მანანა არჩვაძის კაპრიზებმა. მაშინ, როდესაც თვითონ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული სამედიცინო ექსპერტიზით, მტკიცე უარი განაცხადა ექსპერტიზაზე, ჯონსონ კვარაცხელიას ეზოც, სადაც პირველად იყო ზვიადი დაკრძალული, და ვალიკო ზარანდიას ეზოც, უფრო სწორად სადურგლოც, სადაც თვეზე ცოტა მეტ ხანს განისვენებდა ზვიადი ძალზე საიმედო ადგილები იყო ზვიადის ნეშტის კონსპირაციულად შესანახად, ეს ადგილები ჩვენი თვალთ გვიანხავს და უფრო საიმედო იქნებ ვერავის მოენახა. ქვრივმა კი, თავადაც მოგესხენებათ, როგორ დაიჩემა ზვიადის ჩეჩნეთში გადასვენება და როგორ უწყალოდ დატანჯა მისი სხეული აქეთ-იქით გადასვენება-გადმოსვენებით.

როცა მანანა არჩვაძე გამოდის და ათასწაირ კაპრიზებს ახვავებს ტელეეკრანიდან, ღმერთმანი, სირცხვილისაგან აღარ ვიცით საით წავილოთ თავები. ხელისუფლებასაც მეტი რა უნდა, დროს ატარებს მასზე და სიამოვნებით უსრულებს სურვილებს.

რა უბედური ყოფილა ზვიადი ამგვარი მეუღლის გადამკიდე, ძალიან, ძალიან ხშირად გვიფიქრია, რა გაუნელებელი ცეცხლი ენთო მის გულში, რა ქარიშხალი ტრიალებდა, ვინ იცის...

მურთაზ მირგატია, იზო ნაცვლიშვილი, გიგი გედენიძე, თათა ბასკანჩილაძე ხუტა თანდილაძე

ნეშტის წვლებს

როდესაც გავიგე იჩქერიის პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევის ფიზიკური განადგურების ამბავი, ამ ლექსით გამოვეხმაურე:

თავისუფლების მზის მომკვლეს
ჟამი მოუზღუდეს ძლევი;
ჯოჰარ დუდაევი მოკლეს,
მოკლეს ჯოჰარ დუდაევი...
ვაჰ, მსოფლიოვ, უბედურო,
ბნელმა როგორ დაგიყოლა?
ბოროტებას უერთგულო
მას თვლი სიმართლისთვის ბრძოლად?!
გაიღვიძე, გახსენ ნება,
თორემ ცეცხლის ალი გელის,
მასში ერთად ჩაიშლება
მაშრიყელიც, მალრიბელიც...
გაიღვიძე, კავკასია,
გახდი შენად ყოფნის მცველი!
ნახე, რარიგ ლამაზია
შენი მთა და შენი ველი...
შენც რუსეთო, გაიღვიძე,
დაჰგმე სხვათა პყრობა ბნელი,
ნათლის მიძვად აიკინძე,
თორემ ცეცხლით წარღვნა გელის...
მზე არ უნათს ბნელში მოკვლეს,
წყვიდადს უხმობს ნათლის მძლევი,
დღეს მართალი კაცი მოკლეს,
მოკლეს ჯოჰარ დუდაევი...

მაშინ ეს ლექსი და ამასთან ერთი პატარა წერილი ერთად დაიბეჭდა გაზეთში, რომელსაც ედიშერ გიორგაძე რედაქტორობდა. წერილში ვწერდი: ერთ დროს ჩეჩნეთის დედაქალაქში უნდა დაიდგას სამი ვაჟკაცის, ჯოჰარ დუდაევის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ძეგლი, ამ ძეგლთან უნდა მივიდეს მუსულმანური და ქრისტიანული მსოფლიო...

მე ამ აზრზე ვდგავარ დღესაც. მესამე ათასწლეულის გზა მხოლოდ მაშინ და მხოლოდ მაშინ გაიხსნება...

ისტორიის ტრაგედია იმდენი კავკასიონზე გადაიარა.

შესაძლოა პატრიარქატიც აქ დამკვიდრდა პირველად და აქვე უნდა დასრულდეს იგი - ერთმანეთის ძლევის წყურვილით გახელებული კაცთმცეცური გზა...

მივანიშნე. სხვა გამოსავალი არ არის მეთქი. სხვა - თერმობირთვული იარაღების გზაა, ატომის გზა, წარღვნის გზაა...

რატომ აწვალვებთ ზვიად გამსახურდიას საქმეს და ნეშტს? ვერ ატყობთ, ეს უდიდესი საქმეა საქმეთა შორის... ეს ნეშტიც უძვირფასესია საქართველოსათვის, შეემვით!!!

სახელმწიფოს ფუნქცია მე ასე მესმის: ის, ესე იგი, სახელმწიფო, ყოველთვის ასრულებს იმას, რაც მისთვის მთავარია.

ზვიად გამსახურდიას ნეშტის იჩქერიიდან საქართველოში გადმოსვენება სადღეისოდ საქართველოსათვის მთავარი საქმეა? არა მგონია, ეს დასასრულის საქმეა, და ამიტომაც ეშურებიან მას ასე გულმოდგინედ ზვიადის მტრები...

ისინი კი მარტო ზვიადის მტრები კი არა, საქართველოს მტრებიც არიან, მათ, უკლებლივ ყველას ქართველი ერის მტრებად შერაცხავს მომავალი. ამას ვერ უშველის ეკლესიის ეზოებში დასაველავება, ვარლამ არავიძის გზა მიეღის მათ ყველას. უფსკრულია მათი განსასვენებელი, ტურების გამო-სახრავი თავისქალები...

ქართველი ერის ეროვნული არსებობის დასასრულის საქმედ მოუჩანთ ეს ქართულად მოლაპარაკე და ქართულად მოგვარსახელე არაქართველებს, ამიტომაც მიელტვიან მას ასე გამალებით, საერთო მომზადების ფონზე ეს ასეა და, საიდანაც გინდათ, იქიდან ჩამოიყვანეთ ექსპერტები, ისინი მაინც თვითმკვლევლობის იარაღს მიაწვებენ ზვიად გამსახურდიას ნეშტს. მაგრამ ეს არ გამოუვათ.

ჯერ ერთი, რომც ჰქონოდა გადაწყვეტილი თვითმკვლევობა, ზვიადი თავის სათაყვანებელ ერს და ქვეყანას ახალ წელს არ ჩააშხამებდა; სხვა დროს მოიკლავდა თავს, არც შევარდნაძე-სიგუაიოსელიან-კიტოვანს მისცემდა იმის საბაბს, რომ საახალწლო სუფრასთან ექირქილათ.

მეორე: იმ შემთხვევაში, როდესაც ტყვია გავლის ტვინში ან გულში, მეხსიერება მეყვსეულად ქრება, მაგრამ სხეულის ბიოლოგიური კვდომის

პროცესი ერთხანს გრძელდება, ამ ხნის განმავლობაში მომაკვდავი იკრუნჩხება და იარაღის თვითმკვლელის ხელში დამაგრება გარეშე ძალის წაუშვებლად შეუძლებელია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გასროლის მომენტში ყველა სახეობის იარაღზე მოქმედებს უკუდარტყმის ძალა, ეს შესაძლებლობა გამორიცხულია.

ასე რომ, ზვიად გამსახურდია მოკლეს. ვინ მოკლა? იმან, ვინც წლების განმავლობაში გაიძახოდა: „ყველა, მინუს ერთი!“ „ყველა, მინუს ერთი“.

ხელწერა ასეთია: 1918 წელს უკანასკნელი რომანოვი. ნიკოლოზ მეორე მთელი ოჯახითა და მოსამსახურე პერსონალით ამონყვიტეს ვიღაცა ინჟინრის, იპატიევის ორსართულიანი სახლის სარდაფში. (1703 წელს იპატიევის კერძო ეკლესიაში აკურთხეს პირველი რომანოვი მიხეილი, რუსეთის იმპერატორად) დააკვირდით ამ ფაქტს, იოსებ სტალინის დაბადების დღე შეარჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე იერიშის წამოსაწყებად, ახალი წელი შეარჩიეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ფიზიკური მოსპობისა და ქართველი ერის დამგლოვინებისათვის.

ამ სიცრუით დატენილ კაცობრიობას ერთი რამ უნდა ეუნყოს: მესამე ათასწლეული სიმართლის ათასწლეულია, ეს ათასწლეული ცეცხლის ალით ამოწვავს ყველაფერს, რაც სიმართლეზე არ იქნება დაფუძნებული.

პირველი ატომური ბომბის გამოცდის დღიდანვე ნათელი გახდა, რომ ჩვენ იმ გზით არ მოვედიოდით, რომელზედაც უნდა გვევლო, ან ისე არ მოვედიოდით, როგორადაც უნდა გვევლო... ჩვენი ფსიქიკა მეტისმეტად არამობილური გამოდგა საიმისოდ, რომ გარდაეჭმინიყავით დროის, ბუნების, ღმერთის მოთხოვნათა შესაბამისად.

დიახ, 1945 წლიდან უნდა დაწყებულიყო უხსოვარი დროიდან ისტორიის ასპარეზზე მოაქტიურე მამაკაცის ვინაობისა და რაობის შესწავლა-გამოკვლევა, მაგრამ არა ისე, როგორადაც თვითონ ეს მამაკაცი სწავლობს თავის თავს, არამედ როგორც მაქს შტირნერი მოითხოვდა: „რწყილის ნახტომს“ გამცდარი, „წრიდან გასული“ ცნობიერებით.

ეს არ გავაკეთეთ და დროს ჩამოვრჩით. მაინც როგორი იქნებოდა უმარტივესი და უმოკლესი დახასიათება ამ მამაკაცისა?

მე მას პატრიარქატის მამრს ვარქმევ. ძლევის უმპულსია მისი წარმმართველი. ამ იმპულსს ჰყავს დაპყრობილი თავის ტვინის მოაზროვნე სისტემა და მბრძანებლობს მას. ყველაფერი იმ იმპულსითაა გაფენილი, ლირიკაც კი...


ძლევის იმპულსს ორი დამხმარე თვისება ახასიათებს: სიცრუე და ცბიერება, ვისაც ძლევის იმპულსის განვითარებისათვის ნიადაგი გამოეცალა, მას ჰიპერტროფიულად განუვითარდა ეს სიცრუე და ცბიერება - ძლევის არაპირდაპირი, ირიბი საშუალება.

პირველი ატომური ბომბისაგან თვითონ მძლეველსაც ძლევის საფრთხე რომ შეექმნა, მას შემდეგ სიცრუემ და ცბიერებამ მთლად აიწყვიტა, წალეკა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი და ახლა კურდღელივით ურცხვად დაცანცარებს ოცდამეერთე საუკუნეში.

პატრიარქატის მამრი ჯერ არ იღვიძებს. ქვედა საფეხურებმა რა ქნან, როდესაც უმაღლეს საფეხურზე არ იცნობენ და არ იციან თუ ვინაა ეს - პატრიარქატის მამრი: რას წარმოადგენს მისი ბიოფსიქიკური სტრუქტურა და წარმმართველი მუხტი, რა პლანეტარულმა მდგომარეობამ დაუპირობა მას ასეთად ყოფნა და რადგანაც ეს არ იციან, წარსულს და აწმყოს არ იცნობენ...

მაინც მიელტვიან პლანეტის მომავალს სამართავად. პლანეტის სამართავად კი, ჩემი ღრმა რწმენით, პირველ საფეხურზე სატიარგაპაა აუცილებელი (სანსკრიტ, სატ-სიმართლე და აგრაპა-სიმტკიცე). ეს არის ის პოლიტიკური ტრამპლინი, საიდანაც შეიძლება ამ ახალი ათასწლეულის ახალ სივრცეში დაშვება.

რაც შეეხება საქართველოს, თქვენ მიერ აქ ხელისუფლებაში მოყვანილი ძალები ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით მძარცველი ძალებია, მძარ-



ცველები კი პოლიტიკოსები არასოდეს ყოფილან. ძველ საბერძნეთში ეთიკა პოლიტიკის დანამატად უნდოდათ ექციათ, იმდენად მალაღი იყო პოლიტიკის მორალური თვისებები. ეს დასავლეთში, სადაც ტვინის ეშმაკობას ნაწილობრივ ყოველთვის ეთმობოდა ადგილი დასაბამიდან. აღმოსავლეთში კი „მაჰაბჰარატას“ დროიდან ყოველგვარი ცნობიერება, და პოლიტიკაც მათ შორის - სიმართლეს ეფუძნება.

მე უბედური კაცი ვარ, მაგრამ თავი ბედნიერი მგონია ზოგჯერ, ზოგჯერ კი არა, უფრო ზუსტად რომ გამოვთქვა, ეს ნამდვილი ბედნიერებაა ჩემს პირად უბედურებას გარს რომ აკრავს. ქართველი, ბერძენი, სომეხი, თათარი, ებრაელი, ქურთი, სპარსი, ოსი, იეზიდი და ვინ მოსთვლის კიდეც ვინ არა, ყველა უკლებლივ ვინაც შემხვდება ან ჩამივლის „პაპას“ მეძახის.

დიახ, ყველა: ბავშვი, მოზრდილი, ზრდასრული, ჭარმაგი, „პაპას“ მეძახის.

აქ, თბილისში, ერთი კვადრატული კილომეტრის შიგნით ერთად დგას სხვადასხვა სარწმუნოების, ან ერთი და იგივე სარწმუნოების სხვადასხვა აღმსარებელთა ხუთი სალოცავი.

ეს არის ქართული სულის უმაღლესი ემანაცია. აქ არის თავისებურება და ერთიანობა და არა ერთნიანობა და ერთერიანობა.

ესაა ათასწლეულებში დაგროვილი, კავკასიური რასის სულიერი ნათება, თუ ხუთივე ძალა: ინდუსტური, ბუდისტური, იუდაისტური, ქრისტიანული და მაჰმადიანური დაენდობა ამ სხივცვარს, ამ ნათებას, თავისებურებისა და ერთიანობის სინთეზს, პოლიტიკაში განდისეულ სიმართლესა და სიმტკიცეს, გემი მშვიდობიანად ივლის ახალი ათასწლეულის ოკეანეში, თუ არა და ყველაფერი ისე არ იქნება, როგორადაც წარმართველ ძალებს დაუგეგმავთ. პლანეტარული კატასტროფა გარდაუვალია.

შუ ახვევთ აკინჭილებულ აზრებს საქართველოს შეემვით, დაანებეთ თავი ზვიად გამსახურდიას, ის ამ ახალი ათასწლეულის კაცია. პატრიარქატის მამრობიდან გასული კაცი. სიმართლის კაცი, სირცხვილია ნეშტის წვალება.

მან ისე იცხოვრა, როგორადაც უნდა ეცხოვრა ქართველს და საერთოდ მეოცე საუკუნის ადამიანს.

ის, ზვიად გამსახურდიას, რუსული კომუნისტურ-უშკომური უფსკრულის თავზე ყოველ დილით საკუთარ სხეულს სდებდა ხიდად, ზედ გადადიოდა მასზე და ისე მიისწრაფვოდა დასახული მიზნისაკენ. ამას ათეული და ასეულ ათასებიდან ერთი ვინმე თუ შეძლებს.

ის ერთი ზვიადი იყო.

აპოლონ ადონია
2007 წელი 10-15 მარტი

სასამართლო ხელისუფლების დაკვეთებს ასრულებს

2007 წლის 21 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (სხდომის თავმჯდომარე – თამაზ ურთმელიძე, მოსამართლეები: ლეილა მამულაშვილი, ლუარა ჭუმბურიძე, ქეთევან მალრადის სხდომის მდივანობით) განიხილა ეთერ მგალობლიშვილისა და მიხეილ ზურაბიშვილის, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული მოსარჩელების მოთხოვნა, კერძოდ, ეთერ მგალობლიშვილი და მიხეილ ზურაბიშვილი აღიარებული იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოსარჩელეთა მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დააკმაყოფილა და ამდენად, გადაწყვეტილება არანაირად არ ეწინააღმდეგებოდა ფინანსთა სამინისტროს ინტერესებს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძემ, რომელსაც ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის 2006 წლის 13 თებერვლის №104 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება საქართველოს სასამართლოში ფინანსთა სამინისტროს სახელით შეესრულებია საპროცესო მოქმედებები, 2006 წლის 2 ივნისს სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, სადაც მოსარჩელე ეთერ მგალობლიშვილი და მიხეილ ზურაბიშვილი აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სასამართლო სხდომა დაგვიანებით, ვადების სრული დარღვევით დაინიშნა, დანიშნული სხდომები კი ორჯერ, უსაფუძვლო, აბსურდული მოტივებით, კანონის დარღვევით გადაიდო, რითაც კიდევ ერთხელ შეილახა აპელანტების უფლებები.

ხანგრძლივი, დამქანცველი ლოდინის შემდეგ გამართული „ნანატრი“ სასამართლო სხდომა პირველივე დღიდანვე ისე ტენდენციურად და ცინიკურად წარმართა ქალბატონმა ლ. მამულაშვილმა, რომელიც, რატომღაც, სხდომის ახალბედა თავმჯდომარე თ. ურთმელიძეზე ბევრად უფრო მეტად აქტიურობდა, რომ მართლმსაჯულების მხრიდან სიმართლის, ჭეშმარიტების დადგენის იმედი იმთავითვე სათუო გახდა. მამულაშვილის განმარტებებით, ერთ დიდტომიან საქმეში, რომელიც სავსეა 1992-2000 წლებში ჩვენზე განხორციელებული პერმანენტული რეპრესიების დამატებითი მტკიცებულებებით (საბუთების, აქტების, საქმიანი წერილების, საგაზეთო სტატიების, ფოტო მასალებისა და მონეტა ჩვენებებით) ისეთი დოკუმენტი უნდა ყოფილიყო, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ იმ პერიოდში აპელანტებმა სასამართლოს მიმართეს თ. სიგუას, თ. კიტოვანის, ჯ. იოსელიანის, ანუ ხუნტის უკანონო ქმედებების გამო.

ასევე, ხუნტის რეჟიმის პირობებში, როდესაც კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამართული ასიათასკაციანი მშვიდობიანი მიტინგები ადგილზე იხვრიტებოდა ტელეკრანებიდან გაცემული ბრძანებებით, თურმე, უნდა მოგვეპოვებინა ისეთი დოკუმენტი, სადაც შავით თეთრზე ეწერებოდა: „სამსახურში არ გლებულობთ თქვენი პოლიტიკური მრწამსის გამო“; ამ და მსგავს მრავალ სხვა ცინიკურ განცხადებებთან ერთად „ჭეშმარიტების დასადგენად“ შემართულმა და თავგადადებულმა ქალბატონმა, პატრიოტული პათოსით, რიხიანად ისიც განგვიმარტა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თითოეულ თეთრსაც კი მნიშვნელობა აქვს“, რითაც მამულაშვილმა ნებისთნეულად უნებლიედ ხმამაღლა განაცხადა, რომ დღეისათვის საქართველოში

სამართალს კანონი კი არა, ხელისუფლების ნება განსაზღვრავს და ისიც ცხადყო, რომ სხდომის დამთავრებამდე განაჩენი უკვე გამოტანილი იყო, „ბიუჯეტის შევსების მიზნით“, ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნა ეთერ მგალობლიშვილისა და მიხეილ ზურაბიშვილისთვის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის სტატუსის გაუქმების შესახებ წინასწარვე იყო რეკომენდირებული.

„სიმართლის დადგენის“ დაუოკებელი სურვილით ანთებულმა მოსამართლეებმა არ სცნეს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი, როგორცაა 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების უკანონობა და მოგვთხოვა იმ ფაქტების



დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად დამტკიცებას არ საჭიროებენ. მეტი სიცხადისათვის მოგვაქვს ამონარიდი გადაწყვეტილებიდან: „საქმეში წარმოდგენილი მონეტა ჩვენებით, საგაზეთო პუბლიკაციებით, სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტებით დგინდება, რომ მოსარჩელე ე. მგალობლიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საპროცესო გამოსვლებსა და მიტინგებში. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის მტკიცებულება, რომ აღნიშნული მიტინგები ტარდებოდა კანონის დაცვით და იყო სანქცირებული“. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა აშკარად გასცდა ერთი კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვას, იგი ბევრად უფრო შორს წავიდა და ძალზე მარტივად გადაწყვიტა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა 1991-92 წლების მოვლენების სამართლებრივი შეფასება. მან ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული სამხედრო საბჭოს მიერ განხორციელებული რეპრესიული მოქმედებები კანონიერად მიიჩნია.

საქართველოს სახელით გამოტანილ გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „სახელმწიფოს მხრიდან“ არასანქცირებული მიტინგის ჩატარების ხელის შეშლა არ შეიძლება ჩაითვალოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვად და სახელმწიფოს მოქმედება განხილული უნდა იქნას, როგორც კანონის ჩარჩოებში არსებულ მოქმედებად“. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ იმ სახელმწიფოზე საუბარი, რომელსაც „ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების“ (პარლამენტის მიერ 2005 წლის 11 მარტს მიცემული შეფასება ე.მ.) გზით მოსული სამხედრო საბჭო მართავდა,

ხოლო კონსტიტუციის მოქმედება შეჩერებული იყო. სასამართლოს მხრიდან, სამხედრო საბჭოს რეჟიმის დროს ჩატარებული მიტინგების სანქცირებულობაზე, შინაგან საქმეთა ორგანოების ქმედებების კანონიერებაზე უსასრულო განმარტებები კიდევ უფრო ალოგიკური და ტენდენციურია მონმის სახით დაკითხული, 1991-94 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, შემდეგ კი მინისტრის მოადგილის და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის დავით ზეიკიძის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტების ფონზე: „1991 წლის შემდგომი პერიოდიდან, დაიწყო რა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეთა ე.წ. „ზვიადისტების“ მასიური დევნა, ეთერ მგალობლიშვილი გამოიკვეთა როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი და ამიტომაც იგი არაერთგზის იქნა დაკავებული და წარდგენილი პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში. მასთან მიმართებაში ამოღებული იყო ფორმა №1 და დარიგებული ქონდა იგი შესაბამის სამსახურებს, რათა მოეხდინათ მიტინგის მსვლელობისას მისი აყვანა და მასისაგან იზოლირება...“

ეთერ მგალობლიშვილისა და მისი მეუღლის დაკავებები არ იყო სამართლებრივად სწორი, რადგან ხშირად არ ხდებოდა დაკავებულ პირთა სასამართლოზე წარდგენა შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად იმდენად, რამდენადაც მათი დაკავებები ხდებოდა არა მხოლოდ არასანქცირებული მიტინგების, არამედ სანქცირებული მიტინგების დროსაც“.

მოსამართლე მამულაშვილმა აპელანტების საქმეში არსებული ყველა მტკიცებულებების განხილვისა და შემოწმების ნაცვლად, სხდომა, ლამის ხუნტის ყველა ქმედების გამამართლებელ პროცესად აქცია. ვუფროთხილდებით რა მკითხველის დროსა და ნერვებს, დამატებით აღარ მოვიტანთ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელ პასაჟებს, რომელიც მრავლად არის ე.წ. სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მრავალი პათეტიკური განმარტებების შემდეგ სხდომა დამთავრდა. სასამართლო „გადაწყვეტილების მისაღებად“ გავიდა, სხდომის დარბაზში, რატომღაც, ერთი კვირის მოგვიანებით დაბრუნდა და თავმჯდომარე თ. ურთმელიძემ დარბაზში დამსწრე პირებს, რომელთა შორისაც უკვე ახალი სხდომის დაწყების მომლოდინე „სამართლის მაძიებლებიც“ იყვნენ, თავაუწუნვლად, სულმოუთქმელად გვამცნო: „ეთერ მგალობლიშვილისა და მიხეილ ზურაბიშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს“. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს“.

ასე და ამგვარად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სასამართლო ხელისუფლების დაკვეთებს მორჩილად ასრულებს და იგი ხელისუფლების მარიონეტულ სტრუქტურას წარმოადგენს. ისიც დადასტურდა, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შედეგად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი დღესაც განვიცდით დევნა-შევიწროებას, რამეთუ დღესაც უფლებააყრილი და დაუცველი ვართ, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის არასრულყოფილი დადგენილება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ „სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია, თვალში ნაცრის შეყრა რეპრესირებულთა მიმართ.“

ეთერ მგალობლიშვილი
1991-92 წლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი

ზვიადისა და მერაბის დღემდე გამოუქვეყნებელი ფოტო

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების საკითხის განხილვის და-
ძაბულ დღეებში ავსტრიის რუსუბლი-
კამ გაავრცელა ქართველი საზოგადო-
ებისათვის დღემდე სრულიად უცნობი
ზვიადისა და მერაბის ფოტო. ფოტო
ინტერნეტით მოიპოვა თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
ამჟამინდელმა დირექტორმა ნუგზარ
(ბოცო) წიკლაურმა, რომელმაც გამოსაქ-
ვეყნებლად გადმოგვცა ჩვენ, რისთვისაც
მას დიდ მადლობას ვუხდით. თვით
მომპოვებელმა და არც ჩვენ სრულიად
არაფერი ვიცოდით ფოტოს წარმომავ-
ლობის, გადაღების ადგილისა და თარი-
ღის შესახებ. ვიზუალური დაკვირვების
შედეგად შეიძლება გვევარაუდა, რომ
ფოტო განეკუთვნებოდა დისიდენტი თა-
ნამებრძოლების დაჭერამდე პერიოდს
და იგი, შეიძლება, კლასიკოსი მწერლის
კონსტანტინე გამსახურდიას ლიძავის
დასასვენებელი სახლის სანაპიროზე ყო-
ფილიყო გადაღებული.

ფოტოსურათის ფოკუსიდან გამომდი-
ნარე აშკარაა, რომ ისინი გადაღებული

არიან შორიდან დინამიკაში, რაც ქმნის
შთაბეჭდილებას, რომ მათ არაფერი იცი-
ან მათკენ მიმართული ფოტოკამერის
შესახებ. გარდა დინამიურობისა, მათი
ჩაცმულობაც გვიდასტურებს, რომ ისი-
ნი არაფრით ჰგვანან ზღვაზე მონებივ-
რე დამსვენებლებს. არსად ჩანან სხვა
დამსვენებლებიც.

მეტი და საჭირო ინფორმაციის მო-
საპოვებლად, დახმარებისთვის კოკო
გამსახურდიას მივმართეთ, რომელმაც
სრული და ამომწურავი ინფორმაცია
მოგვანოდა ფოტოს წარმომავლობის შე-
სახებ. აი, რა გვიამბო მან:

– ფოტო გადაღებულია 1968 წელს,
ლიძავის ზღვის სანაპირო ზოლზე. 1968
წელს, ლიძავის საკურორტო სახლში
ხდებოდა შეხვედრები საზღვარგარე-
თის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებ-
თან: ავსტრიიდან, გერმანიიდან, შვეი-
ცარიიდან და რუსეთიდან. ეს ფოტო
გადაღებულია ავსტრიის მოქალაქე
ქ-ნ ანი იანის მიერ, რომელიც ცხოვ-
რობდა შვეიცარიაში, იგი 2004 წელს
გარდაიცვალა. საქართველოში ჩამო-

სული უცხოელი სტუმრები დაინტერე-
სებული იყვნენ ანტროპოსოფიით და
ცხოველ ინტერესს ამჟღავნებდნენ ან-
ტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების
ეპოქის მიმართ, რაშიც მათ მნიშვნე-
ლოვან დახმარებას უწევდნენ ზვიადი
და მერაბი. მაგალითად, მათ გაატანეს
ოპიზრებისა და ზოგადად ჭედური ხე-
ლოვნების ნიმუშები. ქალბატონმა ანი
იანმა, დორნახში (შვეიცარია), სადაც
ერთი პირობი მეც ვცხოვრობდი, მო-
ანყო ზვიადისა და მერაბის მიერ გადა-
ცემული ოპიზრების რეპროდუქციების
გამოფენა 1970 წელს. მათ მიერ გადა-
ღებული ზვიადისა და მერაბის ფოტოე-
ბიდან ეს არ არის ერთადერთი კადრი,
ასეთი მრავალი ფოტოები არსებობს
1968 წელს გადაღებული. ისინი ცხოვ-
რობდნენ და ისვენებდნენ ბიჭვინთაში
და მხოლოდ საქმიანი მიზნით ჩამოდი-
ოდნენ ზვიდთან და მერაბთან ლიძავა-
ში. განგვიმარტა კოკო გამსახურდიამ.
დანარჩენი ფოტოების მოპოვება
კი დროისა და მკვლევარების საქმეა
(რედ.)



...ნუ გეძინინ, ჩამეთუ მე მიძლეჯეს სოთელსა

„ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“ – წმიდა კეთილმსახური მეფე პატარა მორბასალი



ახალმონამეთა შორის, მამა ანდრია, გამორჩეულად მიყვარს. განსაცდელის ჟამს, უდიდეს წმინდანებთან და მონამებთან ერთად, მამა ანდრიასაც ვევედრები დახმარებას... ხანდახან მგონია, რომ მამა ანდრია ჩემს სახლში მოძრაობს...

ორიოდე თვის წინათ, ხულოში ვიყავი. უკიდურესად ექსტრემალურ ვითარებაში მოგზაურობის დამაგვირგვინებელი აკორდი – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ტაძარი – სხალთა გახლდათ, ხულოს წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მამა მირიანმა (სამხარაძე) სხალთის შემოგარენიდან თოვლით დაფარულ უზარმაზარ ხეობაში გადამხვდა და მდინარის ნაპირზე ის ადგილი დამანახა, სადაც ადრე ხის პატარა სენაკი მდგარა და, სადაც, აფხაზეთში გამგზავრებამდე მოღვაწეობდა მამა ანდრია. სამწუხაროდ, ეს პატარა სამლოცველო ამჟამად აღარ არსებობს.

მოგეხსენებათ, რომ სხალთის ტაძრის ილუმენია თავად მარიამ ღვთისმშობელია და, ალბათ, მისი უშუალო ნებითა და იდუმალი განგებულებით დაინიშნა მამა ანდრია სხალთის ტაძრის წინამძღვრად, რათა ერისკაცობიდან გასვლის შემდგომი ბრძოლები მხნედ გადაეტანა და უმკაცრეს პირობებში სულიერად გამონრთობილი მონამებრივი აღსასრულისთვის მომზადებულიყო. ვფიქრობ, რომ მთები უყვარდა მამა ანდრიას და, ალბათ, მთებსაც უყვარდათ იგი...

მღვდელ-მონაზონი ანდრია, ერისკაცობაში პაატა ყურაშვილი, 1992 წლის დიდმარხვის ხუთშაბათს შეიმოსა სქემით და ეწოდა უფლის პირველი მონაფის, ანდრია პირველწოდებულის სახელი. 2 აგვისტოს, ყაზბეგში, ცადატყორცნივ გერგეტის სამებაში იქნა ხელდასმული მღვდელ-მონაზვნად, შემდეგ აჭარისა და შავშეთის მთების გრანდიოზულ სივრცეში მოღვაწეობდა, და ბოლოს, მონამებრივად მოწყდა აფხაზეთის ლურჯ მთებში ჩაფლულ სოფელ კამანში, მდინარე გუმისთასთან სულ ახლოს...

მამა ანდრიას ცხოვრება, ღვთივსათნო მოღვაწეობა და განსაკუთრებულ ვითარებაში გარდაცვალება ერთდროულად ინვეს მწუხარებას, სიხარულს და ქრისტიანულ მოშურნეობას. მწუხარებას – გამორჩეული თანამემამულის ამ სოფლიდან ნაადრევად გასვლის გამო, სიხარულს – მეოცე საუკუნის ბოლოს, ზეციური საქართველოს კაბადონზე ახალი ქრისტეს მხედრის, ოცდაშვიდი წლის მღვდელ-მონამის გამობრწყინების გამო, ხოლო, რაც შეეხება მოშურნეობას, – რომელ

მართლმორწმუნე ქრისტეანს არ სურს ასეთი ლამაზი სიკვდილი ერისა და მამულისათვის?..

და იდგა მამა ანდრია ტაძრის წინ, ფერმკრთალი და სანთელივით ჩამოქნილ-ჩამოძვრნილი, მკაცრი და ლმობიერი, ძლიერი და ქედმოუხრელი... იდგა და ელოდა ქრისტესთვის სიკვდილს, ხელში კი პატარა სახარება ეჭირა...

მამა ანდრია წმიდა ვახტანგ გორგასლისეული ანდერძის ღირსეული აღმასრულებელი იყო. განა კეთილმსახურმა მეფემ არ მოგვიწოდა: „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსო?“. მამა ანდრიამ ეძია აღსასრული ქრისტესთვის და მოიპოვა კიდევ იგი. ეს კი ყოველგვარ წუთისოფლისეულ წარმატებაზე მეტია.

სოფელი კამანი ცხუმშიდან თხუთმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული.

ეპიტაფია

ღმრთის სადიდებლად დაკვდა ამაო წუთისოდელი, ყოვლადმოწყალეს მივანდე წუთი და წაძი ყოველი; მართლმშობლის ვიღონსე, უარვყავ ქრეთი კაბახი, იკურთხისთვის კაწაქე, მიუეკაძარე კაძახი; მიწიდან ნუკად აქაღლიდი, მარწიეს ღირებლის ქულებმა, ბურის სიძღაბლით მიუეგე იესოს მართლმსაჯულეობა; ცნა დასი აქობს ვარსკვლავეთს, – სრულქმნილი, სრულეთსოფეხი, ტანტეწე წის თავად უფალი, გალობენ ანგელთხეხი; დეას პირველქმნილი ნათელი, – სადაც მართალნი არიან, დეადამიწაზე ბხელა და სასუფეკაქუში დარია; ბეკევიან თქრთსიღილები, – ზედ ჩიქი სისნლი ატყევა, იქვე გუძისთა მოღვლავს, – განს ღოერჯი მთები არტყეა.

თინათინ მღვდლიაშვილი 2006 წელი, ენკენისთვის 27, ჯვართამაღლება, ცხუმის (სოხუმის) დაცემის დღე

სოფელი კამანი მანათობელი ვარსკვლავია – სოფელთა შორის. სწორედ აქ, კამანში, გადამაღეს ოდესლაც

იოანე ნათლისმცემლის თავი; სწორედ, აქ, წმიდა ვასილისკოს წამების ადგილზე, დღემდე მოსჩქეფს სასწაულთმოქმედი წყალი; სწორედ აქ, კამანში აღესრულა ქრისტიანული სამყაროს მზე – იოანე ოქროპირი.

სოფელი კამანი, ისევე, როგორც მთელი აფხაზეთი, – უსჯულოებმა ააოხრეს. კაზაკები, არმენები, აფსუა-ჩერქეზები, ჩეჩნები და რუსები შეესივნენ უმშვენიერეს სვანურ სოფელს, გაძარცვეს და გადაწვეს ქართველთა სახლები, დახოცეს ქალები, ბავშვები, მოხუცები...

ავაზაკებმა ესეც არ იკმარეს! მხეცებივით შეცვივდნენ წმიდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარში, შეურაცხვეს იოანე ოქროპირის სარკოფაგი, უმონყალოდ შემუსრეს ეკლესია და მასში თავშეფარებული უძლური ადამიანები... ეკლესიის წინ დახვრიტეს ტაძრის წინამძღვარი ანდრია, ენით აუნერელი სისასტიკით აწამეს და, მოგვიანებით, უთვალავი ტყვიით დაცხრილეს ტაძრის აღმდგენელი, წარმომავლობით აფხაზი, იპოლიაკონი გიორგი (ერისკაცობაში იური ანუა) და ვითარცა ტურებს სჩვევიათ, ისტორიის ბნელში მიიძალნენ...

ათეულობით სვანი და კოლხი ვაჟკაცი შეეწირა კამანის უთანასწორო, ნალალატევე ბრძოლას.

აი, ისინიც! – კამანელი გმირები: ზაზა პაკელიანი, ნოდარ პაკელიანი, ვახტანგ ჩხეტიანი, გურამ გვიჩიანი, ზაურ ჩხეტიანი, გუნტერ გულედანი, ანზორ სუბელიანი, ეგნატე კვიციანი, თამაზ ჩხეტიანი, ადამ გვიჩიანი, ვალოდია კახიანი, მალხაზ კახიანი, გოგი გურჩიანი, ზური გურჩიანი, ელგუჯა გვიჩიანი, ალექსანდრე გამსახურდია, მერი პაკელიანი (ალექსანდრე გამსახურდიას მეუღლე, მან ოთხი მომხდური ჩეჩენი გამოასალმა სიცოცხლეს), სერგო მუშუქიანი, ვალოდია ჩხეტიანი და სხვანი.

მკვლევებმა, არც ადგილობრივი ბერძნები დაინდეს. მათ, ვითარცა ლარებს სჩვევიათ, დაუნდობლად დახოცეს მოხუცები: კობტა ილიადი, ხრისტო პოპანდოპულო და კუზმა სიონიდი.

საუკუნო ხსენება მათ სულელებს და დიდება მათ სახელებს!

და დააბოტებენ ყოვლად უგნურნი კოლხთა, სვანთა და იბერიელთა კუთვნილ მიწაზე... მოჩვენებებივით დაძრწიან ქართველთა გავერანებულ ნასახლარებში, ურცხვად იკვებებიან ქართული მიწიდან ამოზრდილ ხეებზე მოწეული ჭირნახულით, რომელსაც ქართული სისხლის გემო დაჰკრავს და არ უწყიან, თუ რაოდენ მკაცრ განსაცდელს უმზადებს მათ ქართველი ერის უდიდესი მეოხი და მოკავშირე, მარიამ ღვთისმშობელი!...

მე მჯერა, რომ ყოვლადწმიდა სამების წყალობით, ჩვენ, ქართველები, უსათუოდ დავიბრუნებთ წინაპართა მიწას – თვალხატულა აფხაზეთს! და არა მარტო აფხაზეთს, არამედ დროებით დაკარგულ ტერიტორიებს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, რადგან, ის, რაც არ ძალუძს ადამიანს, ხელენიფება უფალს. უფალი კი ჩვენთანაა!

დიახ, წლები გადის. კამანის ლურჯ სივრცეში კი კვლავ გაისმის სვანური საბრძოლო-სავედრებელი სიმღერა, რომელსაც საბედისწერო პოზიციებზე მღეროდნენ თურმე მამაცი კამანელები:

„ჯგურაგ ალო სი ლანემდ, შგურალ ნომა ანცურე, ნიშგვეი თხიმ, ნიშგვეი ლახბას, ლენვრიდ ნომა ესცურე!“

თინათინ მღვდლიაშვილი

* (წმიდა გიორგი, შენ შეგვიწყალე! წმიდა გიორგი, სამარცხვინოდ არ დაგვტოვო; ჩვენი თავი ჩვენს ძმებს არ გაუხადო შურის საძიებლად).

აღდგომა იესო ქრისტესი

(მათ. 28, 1-15; მარკ. 16, 1-14; ლუკ. 24, 1-48; იოან. 20, 1-31)

შაბათს შემდეგ პირველ დღეს დილით ადრე უეცრათ მინა შეიძრა და გამოცხადდა ანგელოზი უფლისა, გადააგორა ლოდი საფლავისაგან და დაჯდა მასზე. ქრისტე აღსდგა და გამოვიდა საფლავიდან. ამ ნახვით თავზარ-დაცემული მცველნი გაიქცენ.

იმ დღესვე დილით, ადრე, როცა კიდევ ბნელოდა, ზოგიერთი კეთილმსახურნი დედანი: მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვანი მიდიოდნენ მაცხოვრის საფლავზე, რომ მისი სხეულისათვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაიცა ვერ მოასწრეს დამარხვის დროს. მარიამ მაგდალინელი ყველაზე ადრე მივიდა და დაინახა რომ ლოდი გადაგორებული იყო; მან იფიქრა, უთუოდ მტრებმა წაიღეს ქრისტეს სხეულიო. და გაიქცა ამის სათქმელათ პეტრე და იოანე მოციქულებთან. სხვა დედანიც მოდიოდნენ ნელსაცხებლათ; მივიდნენ საფლავთან თუ არა, დაინახეს ანგელოზი, რომელმაც უთხრა მათ: „ქრისტე



აღსდგა“; დედანი შიშით და სიხარულით უკან დაბრუნდნენ და ეს ამბავი მოწაფეებს აუწყეს, მაგრამ ისინი არ ერწმუნენ მათ. ამასობაში პეტრე და იოანე მოციქულებმა მოიბრინეს მაცხოვრის საფლავზე, შევიდნენ საფლავში და დაინახეს, რომ ის ტილო, და ებაასებოდა მათ ღვთის სასუფერო

სხეული, ცელკე იდვა; ხოლო სუდარა, რომელიც იყო მის თავზე, იდვა ცალკე შეკეცილი სხვა ადგილზე. ეს რომ იოანემ იხილა, ერწმუნა, პეტრე კი კვირობდა ამ ამბავს; მოციქულები უკანვე დაბრუნდნენ.

აღდგომა დღეს ქრისტე გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს იოსების ბაღში და ორ მოწაფეს, რომელნიც მიდიოდნენ ემაურს, საღამოს კი იერუსალიმში ყველა მოწაფეებს გამოეცხადა თომას გარდა. ერთი კვირის შემდეგ ის კიდევ გამოეცხადა ყველა მოწაფეებს, როდესაც მათთან თომაც იყო; თომა ეჭვობდა მის აღდგომას, და ქრისტემ ნება მისცა გაესინჯა მისი ხელები. შემდეგ ამის გამოეცხადა მოწაფეებს გალილიის ტბის ნაპირზე. ერთხელ ეჩვენა გალილიის მთაზე ხუთასზე მეტ მოწმუნეს. ის ეცხადებოდა მოციქულებს ორმოცი დღის განმავლობაში და ებაასებოდა მათ ღვთის სასუფერო ველზე.

ამაღლები ქრისტესი

(მარკ. 16, 19-20; ლუკ. 24, 44-53; საქმ. მოც. 11)



აღდგომის შემდეგ მეთოქმეცე დღეს იერუსალიმში იესო ქრისტე ყანასწრულათ გამოეცხადა თავის მოწაფეებს და უთხრა მათ: „დაბრუნდით იერუსალიმში. სანამ არ შეიძლოს ძალითა ძალდით. ამ ძალას მიიღებთ. როცა თქვენზე ედგება სული წმიდა: მკრეწდით და ყადაგეთ სხაიჭა ყოველ ჯავს და ნათელსცხდით მათ სხელითა ძამისათა. და ძისათა და სულისა წმიდისათა“. ამ სიტყვების შემდეგ ქრისტემ აიყვანა ისინი ზეთის-ხილის მთაზე. აყობსა და მათ თვალწინ ამაღლდა ზეცად და იქ დაჯდა მაჩვენებელი ძამისა.

მოციქულნი იდგნენ და ზეცას იხელებოდნენ. იმათ გამოეცხადა ორი ანგელოზი. ანგელოზებმა უთხრეს მოციქულებს: „რასა სდებხართ და იცქირებთ ზეცას? იესო. თქვენგან ზეცას ამაღლესული. მოვალს ეგოთჯე. როგორც თქვენ იხილეთ იგი აღმაჯალი ზეცას“. მოციქულებმა თაყვანი სცეს ამაღლესულ ქრისტეს და სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმს.

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.